ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები გაიზარდა



გვ.4

ორშაბათი, 13 ნოემბერი, 2023 | №223 (9259) | ფასი: 80 თეთრი

# „სალომე ზურაბიშვილი უნდა გააქტიურდეს! ქვეყანაში ცვლილებები მხოლოდ მას შეუძლია!“



გია ხუხაშვილი: „ევროკავშირი მხოლოდ ხელისუფლების კეთილდღეობისთვის არ გვინდა“



გვ.2

„საქართველოში დეპოლარიზაცია გამორიცხულია! ჩვენს პოლიტიკურ ელიტას საერთოდ არა აქვს უნარი, რომ პოზიტიური დღის წესრიგი შექმნას. მხოლოდ ნეგატივზეა ორიენტირებული“

## „ნაციონალებმა პარტია საკუთარი ხელით დაანგრიეს“

რამაზ საყვარელიძე: „ჩემთვის გამოცანად რჩება, რა უნდა გახარიას. საერთოდ, უნდა კი პოლიტიკაში ყოფნა?!“



გვ.3

## „სტატუსთან დაკავშირებით ზეიმი და ტაშ-ფანდური ცოტა ნაადრევია“



გვ.3

ზაალ ანჯაფარიძე: „ოპოზიციას სტატუსი უნდა, მაგრამ არ უნდა, რომ სტატუსი „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში მოგვანიჭონ“

### ამბები აფხაზეთის ომიდან



გვ.5

## „არ ვართ უცხოები, ბევრი საერთო გვაქვს, მოვძებნით ქართველები და აფხაზები ისევ საერთო ენას“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ გადაწყვეტილებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სპეკულაციები დასრულებულია, რომ მთავრობა არ იმსახურებს და ხალხი იმსახურებს“



„უკაცრავად და შარშან ხალხი არ იყო და არ იმსახურებდნენ ამ სტატუსს? რატომ არ იყო მაშინ აქცენტი გაკეთებული შარშან სტატუსზე?“

გვ.2

რატომ არის კარგი უმი ბოსტნეულის წვენები – ისპანახის წვენი



გვ.5

6 ვინ აიძულებს ზელენსკის პუტინთან კაპიტულაციას?

4 „რუსეთთან მეგობრობის პოლიტიკა არ გამოდის და არც არასდროს გამოსულა“

4 ცოცხალ ყვავილების იმპორტი 1,4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა

6 ავდეევკასთან ნამდვილი ჯოჯოხეთია

# „სალომე ზურაბიშვილი უნდა გააქტიურდეს! ქვეყანაში ცვლილებები მხოლოდ მას შეუძლია!“

## გია ხუხაშვილი: „ევროკავშირი მხოლოდ ხელისუფლების კეთილდღეობისთვის არ გვინდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

***– ბატონო გია, ბოლო დღეებია ვისმენთ შეფასებებს, რომ ისტორიული გადაწყვეტილება მიღებულია, ევროკომისიამ დადებითი რეკომენდაცია მოგვცა კანდიდატის სტატუსზე. რისი მომტანია ეს ყველაფერი? რამდენად წარმატებული იქნება ეს გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნისთვის და რას მოელით ამ ხელისუფლების პირობებში?***

– რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, უმნიშვნელოვანესი შეიძლება ითქვას. ჩვენ კონსტიტუციაშიც გვიწერია, რომ ამ გზით უნდა იაროს ქვეყანამ და აქეთ გადადგმული შუალედური ნაბიჯია. მოდით, მაინც ნუ ვიჩქარებთ და ნუ დავასწრებთ მოვლენებს, პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. მაღალი ალბათობით პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება ევროკომისიის დასკვნის შესაბამისი, თუმცა, ჩვენ გვაქვს საკმაოდ მძიმე გამოცდილება და, შესაბამისად, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ხელისუფლება ამ ერთ თვეში ვერ „მოახერხებს“ და ისეთ რაღაცას არ გააკეთებს, რითაც შეცვლის ამ გადაწყვეტილებას, რაც უკვე პრინციპულად მიღებულია. ასეთი რამ თეორიულად შეიძლება მოხდეს და ამის პრეცედენტებიც ევროკავშირის ისტორიაში ყოფილა.

***– უშვებთ, რომ ამაზე წავა „ოცნება“?***

– არა, მე ეს არ მინდა დავუშვა არაფრით, თუმცა გამორიცხვითაც, სამწუხაროდ, ვერაფერს ვერ გამოვრიცხავ. აი ასეთი მოცემულობა გვაქვს. თუ არაფერი არ შეიცვალა და ხელისუფლებამ რამე სასწაული არ ჩაიდინა, რა თქმა უნდა, ველოდებით დადებით გადაწყვეტილებას.

***– რას მოგვიტანს ეს გადაწყვეტილება?***

– ეს გადაწყვეტილება ნიშნავს მინიმუმ იმას, რომ ევროკავშირის კარი ჩვენთვის არ ჩაიკეტა. ახლა რომ ყოფილიყო უარყოფითი გადაწყვეტილება, ეს ნიშნავდა, რომ ჩვენთვის კარი დიდი ხნით ჩაიკეტებოდა. თუმცა, გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს ჩამორჩენა. ჩვენ ვიყავით მოწინავე ქვეყანა და ახლა უკრაინა პრაქტიკულად გადავიდა მოლაპარაკებების ეტაპზე და ჩვენ ჩამოვრჩით უკრაინას, როცა ადრე ვასწრებდით. ეს კი არის ჩვენი ხელისუფლების, სამწუხაროდ, კიდევ ერთი „დამსახურება“. ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა ჩვენ კარი არ მოგვიჯახუნა და ჩვენ ევროპული პერსპექტივა გვაქვს.

რაც შეეხება შინაარსობრივად, ჩვენ ხომ გვესმის, რომ ამ ხელისუფლებას არაფრით ეს არ დაუმსახურებია. პირიქით, მე ვიტყოდი, რომ



„საქართველოში დეპოლარიზაცია გამორიცხულია! ჩვენს პოლიტიკურ ელიტას საერთოდ არა აქვს უნარი, რომ პოზიტიური დღის წესრიგი შექმნას. მხოლოდ ნეგატივზეა ორიენტირებული“

ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რისკები გაზრდილიყო იმისა, რომ ევროკავშირს საბოლოოდ ჩაექნია ჩვენზე ხელი. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ევროკომისიის დასკვნას თან ახლავს დათქმები. 9 დათქმა, რომლებიდან ბევრი არის ე.წ. საშემოდგომო გამოყოლილი, რომელიც არ შეგვისრულებია და არის რამდენიმე ახალიც. რის შესრულებაც პრობლემურია ამ ხელისუფლების პირობებში.

***– რას გულისხმობთ?***

– მე, ძირითადად, აქ ვგულისხმობ სამ რაღაცას, პირველი ის, რომ საქართველომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიყვანოს ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობაში. მე არ ვიცი, ეს ხელისუფლება ამას როგორ გააკეთებს და საერთოდ გააკეთებს თუ არ გააკეთებს ამ ყველაფერს. მეორე საკითხი გახლავთ ის, რომ სანიმუშო არჩევნები გვაქვს ჩასატარებელი.

***– სერიოზული საშინაო დავალება მოგვცეს 2024 წლისთვის. რამდენად სანიმუშო იქნება ეს არჩევნები?***

– ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ ამ საკითხს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არ ჩანს იმის ნიშნები, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ზნე შეიცვალოს და ბოროტად არ გამოიყენოს იგივე ადმინისტრაციული რესურსი – მედია, პროპაგანდისტული რესურსები, ფინანსურზე რომ არაფერი ვთქვათ. ამ ყველაფერმა კი შეიძლება დაგვაყენოს სერიოზული რისკის ქვეშ. უნდა გვესმოდეს, ჩვენ ევროკავშირი იმისთვის კი არ გვინდა, რომ ვიღაცამ კეთილდღეობა მოიწყოს. ჩვენ გვინდა ევროკავშირი ორი მთავარი ფასეულობისთვის, ეს არის კეთილდღეობა და თავისუფლება. კეთილდღეობა არა ხელისუფლების, არამედ საყოველთაო კეთილდღეობა.

***– და ეს ხელისუფლებას როგორ ესმის?***

– ხელისუფლებას სრულიად სხვანაირად ესმის ეს ყველაფერი. ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რომ რუსეთის თარგზე მოჭრას მმართველობის სისტემა და ჩვენ ვხედავთ, რისკენ არის მიდრეკილი. ინსტიტუციური წესრიგი მოშლილია, კონკურენტული გარემო არ არის, სწორედ ეს არის რუსული მოდელი მმართველობის. თუმცა, ამასთანავე უნდათ, რომ საკუთარი კეთილდღეობა მოიწყოს ევროპაში. შვილებს იქ ასწავლონ, ანგარიშები იქ გახსნან და, მოკლედ, იყვნენ კარგად. ეს კი არ არის დამახასიათებელი ევროინტეგრაციისთვის, პირიქით, წინააღმდეგობაში მოდის. ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს, ყველა ეს პრობლემა არის გადასაწყვეტი. მეეჭვება, ამ ხელისუფლებამ რადიკალურად იცვალოს ზნე, თუმცა, ძალიან გამიხარდება თუ ჭკუაზე მოვლენ და არც ტაშის დაკვრა გამიჭირდება. მე მგონია, რომ შემდგომ ეტაპზე, ევროკავშირის ინტეგრაციის, ჩვენ ამ ხელისუფლების პირობებში ვერ გადავალთ. ანუ თვითონ ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. უნდა შეიცვალოს კოალიციური ხელისუფლებით და ეს კოალიცია არ უნდა უკავშირდებოდეს არც მანკიერ წარსულს ნაციონალური მოძრაობის სახით და არც მანკიერ აწმყოს „ქართული ოცნების“ სახით. სრულიად ახალი ძალაა საჭირო.

***– არის დღეს ოპოზიცია იმ ფორმაში, რომ ეს ხელისუფლება შეცვალოს? საუბარია ახალ ძალასა და კოალიციაზე და საიდან ეს ყველაფერი ამ ოპოზიციის პირობებში?***

– ეს კითხვა მეც მაქვს. მე ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს, პირდაპირ გეტყვით. თუმცა, არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ ახალი მესია კი არ უნდა ვეძებოთ, რომ ახლა ვიღაცა ერთმა ჩაანაცვლოს, არამედ ჩვენ, საზოგადოებამაც და პოლიტიკოსებმაც, უნდა იფიქრონ ფართო პოსტსაარჩევნო კოალიციაზე. არა იმდენად წინასაარჩევნო კოალიციებზე, რამდენადაც პოსტსაარჩევნო კოალიციებზე. არის ისეთი ელემენტები, რამაც შესაძლოა სერიოზულად შეუწყოს ამ პროცესს ხელი.

***– დიდი დრო არ დარჩა არჩევნებამდე, საარჩევნო წელი დაიწყება სადაცაა. რა ელემენტს გულისხმობთ?***

– კი ბატონო, ასეა. თუმცა არის რაღაც ფაქტორი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სახით გაჩნდა.

***– რას შეიძლება ველოდოთ მისგან? ექსპერტთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ თუ პრეზიდენტი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას დააპირებს, უნდა გადადგესო. თქვენ რას იტყვით?***

– ეს უკვე არის ტექნიკური საკითხები. იურიდიული ტექნიკა აქ არის მეორეხარისხოვანი. თუ ის გადაწყვეტს, რომ პირდაპირ და ღიად ჩაერთოს პროცესებში, გადადგომაც მისაღები ფორმაა, მაგრამ გადადგომამდე მას ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია.

***– კანდიდატის სტატუსის შემდეგ ელოდებიან პრეზიდენტის გააქტიურებას. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ მისგან?***

– მეც ველოდები და მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები ყოველივე ამას.

***– რამდენად დაიძაბება სიტუაცია კიდევ უფრო მეტად აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის? ახლა პრემიერიც და პრეზიდენტიც საფრანგეთშია. ან თუ მოხდება დეპოლარიზაცია?***

– არა, დეპოლარიზაცია საქართველოში, ეს გამორიცხულია! ჩვენს პოლიტიკურ ელიტას საერთოდ არა აქვს უნარი, რომ პოზიტიური დღის წესრიგი შექმნას. მხოლოდ ნეგატივზეა ორიენტირებული. რაც ყოველთვის უკავშირდება ესკალაციას და პოლარიზაციის ხარისხის გაზრდას. წინასაარჩევნო წელს ილუზიაა, რომ მშვიდი და გაწონასწორებული პროცესი გვექნება.

***– რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე? ვისმენთ შეფასებებს, რომ თვითლიკვიდაციისკენ მიდის ეს პარტიაო.***

– მე არ ვიქნები წინააღმდეგი, ასე თუ მოხდება. რაც უფრო დასუსტდება ეს პარტია, მით უფრო გამარტივდება ის პრობლემები, რაც ქართულ პოლიტიკაში არსებობს.

***– ბატონო გია, საუბრობენ იმაზეც, რომ თუკი სტატუსს მივიღებთ, ბიძინა ივანიშვილს „ოცნების“ ეს რადიკალური ფრთა აღარ დასჭირდება, შეეცდება ალტერნატიული ძალის შექმნასო. რამდენად შედის დღეს ივანიშვილის ინტერესში, რომ პრეზიდენტის გარშემო შეიქმნას ახალი ძალა?***

– არა, რა თქმა უნდა, არ შედის მის ინტერესში, რომ პრეზიდენტის გარშემო ახალი ძალა შეიქმნას. არა თუ არ შედის, არამედ ყველანაირად შეეწინააღმდეგება ამას.

***– თქვენ გაქვთ მოლოდინი პრეზიდენტ ზურაბიშვილის პოლიტიკურად უფრო მეტად გააქტიურების?***

– არა თუ მოლოდინი მაქვს, მე ვფიქრობ, რომ მან ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადადგას. დღეს ქვეყანას სჭირდება ცვლილებები, მას ეს რესურსი აქვს და მას ნამდვილად არ აქვს იმის უფლება, რომ ამ ყველაფრის მიღმა დარჩეს!

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ გადაწყვეტილებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სპეკულაციები დასრულებულია, რომ მთავრობა არ იმსახურებს და ხალხი იმსახურებს“

## „უკაცრავად და შარშან ხალხი არ იყო და არ იმსახურებდნენ ამ სტატუსს? რატომ არ იყო მაშინ აქცენტი გაკეთებული შარშან სტატუსზე?“

– ამ გადაწყვეტილებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სპეკულაციები დასრულებულია, რომ მთავრობა არ იმსახურებს და ხალხი იმსახურებს. უკაცრავად და შარშან ხალხი არ იყო და არ იმსახურებდნენ ამ სტატუსს? რატომ არ იყო მაშინ აქცენტი გაკეთებული შარშან სტატუსზე? მთავრობა არ იმსახურებს და ხალხი იმსახურებს. უკაცრავად და შარშან ხალხი არ იყო და არ იმსახურებდნენ ამ სტატუსს? რატომ არ იყო მაშინ აქცენტი გაკეთებული შარშან სტატუსზე? მაშინ, როდესაც იგივე ადამიანები დღეს აი ამას უსინდისოდ იმეორებენ, არაფერი არ გაუკეთებიათ იმისთვის, რომ ქვეყანას შარშანვე მიეღო სტატუსი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარიზში ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, იგივე ადამიანებს არაფერი არ გაუკეთებიათ იმისთვის, რომ ქვეყანას შარშანვე მიეღო სტატუსი.

– მთავარი რამ ავიწყდებათ ამ ადამიანებს, მთავარი ის კი არ არის, ვინ რა ქულას ჩაიწერს, მთავარი ის არის, რომ ქვეყანამ მიიღოს სტატუსი, გაძლიერდეს, განვითარდეს, წინ წავიდეს, ეს არის მთავარი ამოცანა. ეს უნდა იყოს მთავარი ინტერესი. ხალხზე აპელირება და აქცენტის გაკეთება არის უსუსური მცდელობა, ეს პირდაპირ მიანიშნებს, რომ შეფარებულები არიან უსუსურ განმარტებას. მინდა დავუსვა კითხვა ამ ადამიანებს – შარშან რატომ არ ახსოვდათ ჩვენი ხალხი? როცა იგივე რეზოლუცია მიაღებინეს თავის პარტნიორ პარტიებს, ევროპის სახალხო პარტიებს და სხვებს. როცა პირდაპირ ანტიქართული რეზოლუციები დაასპონსორეს და მიაღებინეს, რომ მაშინ, ესე იგი თურმე საქართველო არ იმსახურებდა სტატუსს, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მას დღეს არ ეგულება ევროპაში არც ერთი ქვეყანა, რომელიც მხარს არ დაუჭერს საქართველოს შემდეგ ეტაპზე გადასვლას – ანუ სტატუსის მინიჭებას.

– რაც შეეხება მოლოდინს, თქვენ ახსენეთ მოლოდინი და 15 დეკემბერს მისაღები გადაწყვეტილება 27 ქვეყნის მიერ. ჩვენ ინტენსიურ მუშაობას ვაგრძელებთ, საგარეო საქმეთა მინისტრმა თითქმის ყველა ქვეყანა მოიარა და მე პირადად მქონდა კომუნიკაცია თითქმის ყველა ევროპელ ლიდერთან. მე დღეს არ მეგულება ევროპაში არც ერთი ქვეყანა, რომელიც მხარს არ დაუჭერს ჩვენი ქვეყნის შემდეგ ეტაპზე გადასვლას – ანუ სტატუსის მინიჭებას უკვე ოფიციალურად, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც უკვე ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია და თქვა, რომ ისინი მიღწეულ შედეგზე დაყრდნობით აძლევენ რეკომენდაციას ქვეყანას, რომ



მიეცეს სტატუსი. მე ვფიქრობ, რომ მოლოდინები არის პოზიტიური და არ მგონია, რამე შეიცვალოს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა, გვექნება მჭიდრო კოორდინაცია ჩვენს ევროპელ მეგობრებთან, კოლეგებთან და მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი იქნება ძალიან კარგად, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა მაკრონთან შეხვედრის დეტალებზეც ისაუბრა:

– ბატონ მაკრონთან მქონდა ძალიან შინაარსიანი საუბარი. ბუნებრივია, ჩვენ შევეხეთ ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებს, მეგობრობას. მე მას ვუთხარი, რომ ჩვენ ძალიან ვაფასებთ ამ დამოკიდებულებას, რომელიც მისი მხრიდან იქნა წარმოჩენილი და, რა თქმა უნდა, საფრანგეთი არის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანა და ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე საფრანგეთის მხარდაჭერას აქვს უდავოდ ძალიან დიდი მნიშვნელობა. ამიტომ, ბუნებრივია, პრეზიდენტ მაკრონთან ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას. მე მისგან მივიღე მხარდამჭერი სიტყვები. მან მითხრა, რომ საფრანგეთი მხარს დაუჭერს ჩვენი ქვეყნის მისწრაფებას ევროპულ გზაზე. რა თქმა უნდა, მას მივაწოდე ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, იმ რეფორმებზე, იმ პროცესზე, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად გავიარეთ.

მე ასევე ვუთხარი პრეზიდენტ მაკრონს, რომ, რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ სრულდება ამით და ეს არის პროცესი, რომელიც უნდა გაგრძელდეს, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს ერთადერთი პერიოდია, როდესაც არც ერთი ომი არ უწარმოებია საქართველოს.

– ჩემმა მთავრობამ შეძლო უწყვეტი, უპრეცედენტო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ნებისმიერი წინა ხელისუფლების პირობებში ხდებოდა ომები, კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა. ეს ერთადერთი პერიოდია, როდესაც არც ერთი ომი არ უწარმოებია საქართველოს. არც ტერიტორიები დაგვიკარგავს. პირიქით, ვიზრდებით, ვმდიდრდებით და ვაძლიერებთ ჩვენს ქვეყანას. ეს ისეთი რამ არის, რასაც კეთილდღეობა მოაქვს ჩვენი მოსახლეობისთვის, ჩვენი ხალხისთვის. რა თქმა უნდა, ოკუპაციასთან დაკავშირებული გამოწვევა კვლავ არსებობს. არ გამქრალა, მაგრამ სტრატეგიული თმენის პოლიტიკა ავირჩიეთ. რატომ ვამბობ ახლა ამას? არის რაღაცები, რასაც მყისიერად ვერ მოვაგვარებთ. ხომ ასეა? ამიტომ, საჭიროა მოთმინება, გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელსაც უნდა მივყვეთ. თანმიმდევრულნი უნდა ვიყოთ ამ გეგმის შესრულებაში, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს ინტერესებშია გრძელვადიანი, ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა რეგიონში. „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მთავრობებმა მშვიდობის მისაღწევად“.

– ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ საქართველო ძალიან ობიექტური და – ვიტყოდი, რომ – მიუკერძოებელი მედიატორი, ფასილიტატორი და მეგობარია, რომელსაც ორივე ქვეყანა ენდობა. შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან. პირადად მაქვს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ორივე ქვეყნის ლიდერთან. ამიტომ, საქართველოს ინტერესებშია გრძელვადიანი, ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ჩვენს რეგიონში, – განაცხადა პრემიერმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავრაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნაციონალებმა პარტია საკუთარი ხელით დაანგრიეს“

## რამაზ საყვარელიძე: „ჩემთვის გამოცანად რჩება, რა უნდა გახარიას. საერთოდ, უნდა კი პოლიტიკაში ყოფნა?!“



**„მხოლოდ „რუსული ოცნების“ ძახილი საკმარისი ვერ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციას თავისი ამომრჩევლის რიცხვი გაეზარდა“**

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, ევროკომისიამ სტატუსის რეკომენდაცია 9 პირობით გასცა. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება 2024 წლის არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებას. რამდენად უშვებთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“, მაგალითად, საარჩევნო ბარიერი დაწიოს?***

– თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო ბარიერის დაწევა, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, არაფერში არ აწყობს. არსებული 5% ბარიერის პირობებში მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად შევა პარლამენტში. ნაციონალური მოძრაობა კი ყველაზე კარგი, ყველაზე კომფორტული ოპონენტია. ამის დადასტურებაა მთელი ეს წლები.

***– კონკურენციას ვერ უწევს.***

– დიახ, ყველა არჩევნებმა, რაც აქამდე ჩატარდა, ეს დაადასტურა.

***– რა შემთხვევაში შეიძლება ბარიერი დაწიოს?***

– მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ აღმოაჩენს, რომ პრობლემები ექმნება. ამ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, „ხალხის ძალის“ პარლამენტში შესაყვანად ბარიერი დაწიოს. ამით მმართველი პარტია შეეცდება, პარლამენტში სანდო პარტნიორი ჰყავდეს.

***– თუ საჭირო გახდება, კოალიციასაც სანდო პარტნიორთან შეკრავს?***

– რა თქმა უნდა! ეს იქნება პოლიტიკური სვლა. თავის დროზეც „ხალხის ძალაც“ ხომ ამ მიზნით შეიქმნა, რომ მმართველი პარტიის ერთგვარი დანამატი ყოფილიყო. თუნდაც ბევრად უფრო რადიკალური ყოფილიყო უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობაში, ვიდრე იქნებოდა თავად მმართველი პარტია. ასე „შავ“ მმართველმა ძალამ „ხალხის ძალა“, რომ ერთგვარი მეხამრიდის როლში ყოფილიყო. ამ ფუნქციას, თუ საჭირო გახდება, „ხალხის ძალა“ კვლავ შეასრულებს.

თუმცა, ჯერ არსებული სურათით ასეთი პოლიტიკური თამაში არაფერში არ სჭირდება „ოცნებას“. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და დასჭირდება თუ არა გარკვეული მანევრი.

***– რაც შეეხება ოპოზიციურ ფლანგს. ამ ფლანგზე რა ცვლილებებს ელოდებით. რამდენად აქვს ოპოზიციას გაცნობიერებული, რომ მნიშვნელოვანი არჩევნებია და გონივრულად უნდა იმოქმედოს?***

– ჯერ ოპოზიციას გონივრულობის არაფერი ეტყობა. ოპოზიციას ჰქონდა შანსი, რომ მართლაც გონივრული ნაბიჯები გადაედგა და ამომრჩევლის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. თუმცა, შეცდომა შეცდომაზე დაუშვეს და ყველა შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს. ე.წ. ფანჩატური ბევრად უფრო უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე დღეს არიან, მაგრამ ვერც მაშინ ააწყვეს გონივრული ხაზი. მხოლოდ „რუსული ოცნების“ ძახილი საკმარისი ვერ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ თავიანთი ამომრჩევლის რიცხვი გაეზარდათ. ოპოზიციამ ვერაფერი სიახლე, ვერაფერი პერსპექტივა ვერ შესთავაზა ხალხს. თითქოს ერთსა და იმავე ადგილზე გაიყინნენ.

საერთოდ, არ მინდა იმაზე საუბარი, რაც ხდება და რაც მოხდა ნაციონალურ მოძრაობაში. საკუთარი ხელით დაანგრიეს პარტია. კეზერაშვილისა და მერაბიშვილის პარტიასთან იდენტიფიცირება და ამ მიმართულებით მათი გააქტიურება, ნამდვილად იყო პარტიისთვის საბედისწერო განაჩენის გამოტანა.

***– ამ ფონზე, ნაციონალური მოძრაობა შეიძლება ისევ მეორე პარტია იყოს?***

– როგორც ჩანს, ასეა. ბოლო სოციოლოგიური კვლევებით, რომელიც ვნახე, კვლავ მეორე ადგილზე არიან. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ, რომ საარჩევნოდ ეს მაჩვენებელი დაბლა დავიდეს. შეუძლებელია, პარტიაში მიმდინარე პროცესებმა ასახვა არ ჰპოვოს.

***– ამ კვლევებში მესამე ადგილი გიორგი გახარიას აქვს. როგორ ფიქრობთ, გახარია გაყოფს ხმებს?***

– რაც შეეხება გახარიას, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის გამოცანად რჩება, რა უნდა გახარიას. უნდა კი, საერთოდ, პოლიტიკაში ყოფნა?! როდესაც პრემიერის პოსტი დატოვა, ვფიქრობდი, რომ სწორედ ის იქნებოდა ე.წ. მესამე ცენტრი, მაგრამ მისმა გაუჩინარებამ და გაუგებარმა პოზიციამ, ეს პერსპექტივა საერთოდ გააქრო. მისთვის გააქრო.

***– შეიძლება გააქტიურდეს?***

– აწი, რომც გააქტიურდეს, დიდად ვერაფერს შეცვლის. ის პერსპექტივა, რაზეც მოგახსენეთ, მას დაკარგული აქვს. ძალიან პასიურია. პასიურობით კი დიდი პოლიტიკა არ კეთდება. თუმცა, თუ ვინმეს წაართმევს ხმებს, ეს „ქართული ოცნებაა“. სწორედ ამ ფლანგზე იმუშავებს გახარია და ეცდება, მმართველ პარტიას გაუყოს ხმები, ვიდრე ახალი ამომრჩეველი მოიზიდოს.

# „სტატუსთან დაკავშირებით ზეიმი და ტაშ-ფანდური ცოტა ნაადრევია“

## ზაალ ანჯაფარიძე: „ოპოზიციას სტატუსი უნდა, მაგრამ არ უნდა, რომ სტატუსი „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში მოგვანიჭონ“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე პასუხობს.

***– ბატონო ზაალ, ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსანიჭებლად რეკომენდაცია გასცა. რა მოცემულობას ქმნის ეს ფაქტი ქვეყანაში – ოპოზიციაში, ხელისუფლებაში თუ ზოგადად?***

– საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება ჯერ უნდა დაამტკიცოს ევროპული საბჭოს სამიტმა, რომელიც 15 დეკემბერს გაიმართება. ჩვენ ჯერ არ ვიცით, სამიტი რა გადაწყვეტილებას მიიღებს. შეიძლება რომელიმე ერთმა სახელმწიფომ ხელი წინააღმდეგ აწიოს და სტატუსი არ მოგვენიჭება.

ასე რომ, ზეიმი და ტაშ-ფანდური, რაც აქ გაიმართა, მგონი, ცოტა ნაადრევია. სჯობს, სამიტის გადაწყვეტილებას დაველოდოთ და მერე ვილაპარაკოთ, რა მოცემულობას შექმნის სტატუსის მონიჭება საქართველოს ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, საზოგადოებასა და ქვეყანაში.

***– ერთი მხრივ, ტაშ-ფანდურია, მაგრამ მეორე მხრივ, ოპოზიციაში დიდი ნერვიულობაა, საქართველოს ხელისუფლებას სტატუსი არ ეკუთვნოდა და მაინც მიანიჭესო. ამ შემთხვევაში ოპოზიციას რა ანერვიულებს?***

– ნერვიულობს იმიტომ, რომ ბრძოლის პირველი რაუნდი წააგეს. იმედი ჰქონდათ, ევროკომისია საქართველოს უარს კიდევ ერთხელ ეტყოდა. ამისთვის ძალიან ინტენსიურად მუშაობდნენ ბრიუსელში, ვაშინგტონსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში.

მიუხედავად იმისა, საჯაროდ რას ამბობენ, საინტერესოა დახურულ კარს მიღმა მათი განცხადებების შინაარსი. თვითონ მათმა წარმომადგენლებმა გააჟღერეს ინფორმაცია, რომ ევროპელებთან დახურულ კარს მიღმა სულ სხვა მესიჯებით მიდიოდნენ. ეუბნებოდნენ, საქართველოს ხელისუფლება პრორუსულია და სტატუსს არ იმსახურებს, არჩევნებს დაველოდოთ და მერე განვიხილოთო.

პრინციპში, რაც ორმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა თქვა, ჩვენ ხომ ისედაც ვიცოდით. განსაკუთრებით, ანალიტიკოსებმა, რომლებიც ინფორმაციას სხვა წყაროებიდანაც ვღებულობთ. ხანდახან ოპოზიციის წარმომადგენლებსაც, როდესაც აზარტში შედიოდნენ, წამოცდენები ჰქონდათ: აბა, ევროკავშირისთვის სიმართლე არ უნდა გვეთქვაო?

გასაგებია, წამოცდენა რასაც ნიშნავს. ეუბნებოდნენ, რომ საქართველოში ყველაფერი ცუდადაა, დემოკრატია უკან იხევს და ამ ხელისუფლების პირობებში, სჯობს, ქვეყანას სტატუსი არ მისცეთო.

ამდენად, ოპოზიცია, რომელიც ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში საპროტესტო აქციებისთვის ემზადებოდა, თუ სტატუსს არ მოგვცემდნენ (სუსის გამოძიება და ის მასალებიც, რაც გამოქვეყნდა, ამას აჩვენებს), მთელი სამზადისი წყალში ჩაეყარათ.

თუმცა, თუ დავუშვათ, ისე მოხდა, რომ ევროპულმა საბჭომ კანდიდატის სტატუსზე უარი გვითხრა, მაშინ ყველაფერი განახლდება და ქვეყანა საბოტაჟის, აქციებისა და დაპირისპირების მორევში ისევ ჩაიძირება.

***– თქვენი აზრით, სტატუსის საწინააღმდეგოდ მუშაობას გააგრძელებენ?***

– რა თქმა უნდა, გააგრძელებენ. ამაში ეჭვიც კი არ მეპარება. მართალია პირველი რაუნდი წააგეს, მაგრამ ბრძოლა საბოლოოდ არ წაუგიათ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ევროპულმა საბჭომ სტატუსი არ მოგვცეს.

მინდა თქვენს მკითხველს ავუხსნა, ოპოზიცია ასე რატომ იქცევა. ოპოზიციას სტატუსი უნდა, მაგრამ არ უნდა, რომ სტატუსი „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში მოგვანიჭონ. ფიქრობენ, რომ ამას „ოცნება“ თავის აქტივში ჩაიწერს და ამის გამოყენებით არჩევნების მოგებას შეეცდება.

რეალურად, მოსახლეობის თვალში ასეც იქნება აღქმული, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ ძალისხმევით, მისი მმართველობის პირობებში, საქართველომ მიიღო კანდიდატის სტატუსი.

შესაბამისად, ოპოზიციას ხელიდან ეცლება თავისი უმთავრესი არგუმენტი, რომ საქართველოს ჰყავს პრორუსული ხელისუფლება. ძირითადად ამაზე არიან ჩამოკიდებული. სხვა არაფერი ხელში არ უჭირავთ.

თუ ესეც გამოეცალათ ხელიდან, რა იარაღით მივლენ. არჩევნებზე არაფერი აქვთ. არც რაიმე პოზიტიური პროგრამა, არც რაიმე ღირებული შეთავაზება ამომრჩევლისთვის. მათი პოლიტიკური დღის წესრიგი, ერთადერთი პრორუსულ ხელისუფლებაზეა აგებული.

***– ევროპულმა საბჭომ უარი რა შემთხვევაში შეიძლება გვითხრას?***

– იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანა უარს იტყვის ჩვენთვის სტატუსის მონიჭებაზე. მაგალითად, იგივე პოლონეთი, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სააკაშვილის საკითხი სათანადოდ გადაწყვეტილი არ არის. იტყვის, რომ საქართველო, მიუხედავად ევროკომისიის რეკომენდაციისა, სტატუსს არ იმსახურებს.

იგივე არგუმენტი შეიძლება ბალტიისპირეთის რომელიმე ქვეყანას ჰქონდეს. ვიცი, ლიტვასა და ლატვიაში რა განწყობები არსებობს და შეიძლება წინააღმდეგ წავიდნენ. ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ ჩემი ვარაუდით, ეს სცენარი გამორიცხული არ არის.

***– ლიტვასა და ლატვიაში მაინც რამ შექმნა ანტიგანწყობები. საწინააღმდეგო განწყობები სალომე ზურაბიშვილის ვიზიტის შემდეგ ხომ არ შეიქმნა?***

– მათ შორის, სალომე ზურაბიშვილის ვიზიტის შემდეგაც შეიქმნა, მაგრამ მანამდე ოპოზიციამ იქ საფუძვლიანად იმუშავა. არ დაგავიწყდეთ, რომელი ქვეყნებიდან არიან პარლამენტარები, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებენ, იგივე კუბილიუსი, იუკნევიჩიენე და სხვები.

***– ოპოზიციის განცხადებებში გახმოვანდა, რომ სტატუსი კი არ გვეკუთვნის, მაგრამ რეკომენდაცია გეოპოლიტიკური ვითარების გამო მოგვცეს. შეიძლება ვითარება მანამდე შეიცვალოს, სანამ კანდიდატის სტატუსს საბოლოოდ მოგვანიჭებენ?***

– რა ვითარება შეიცვალოს, გეოპოლიტიკური? არა მგონია, ერთ თვეში გეოპოლიტიკური ვითარება ისე საფუძვლიანად შეიცვალოს, რომ ევროკავშირმა თავის ამ გადაწყვეტილებას გადახედოს. დიდწილად ნამდვილად შეესაბამება სიმართლეს, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე რეკომენდაცია გეოპოლიტიკური მოსაზრებების გამოც მოგვცეს, რათა საქართველო რუსეთის წინაშე მარტო არ დაეტოვებინათ და აქ რუსული გავლენები არ გაზრდილიყო. ეს შიშები ევროკავშირში ნამდვილად არის. იმ რეკომენდაციებში, რომელიც მოგვცეს, ერთ-ერთია, რუსულ დეზინფორმაციასთან და ანტიევროპულ ნარატივთან ბრძოლა.

მე პირადად, ვფიქრობ, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებიც საქართველოს მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილი და „ქართული ოცნება“ და მისი პოლიტიკა არ მოსწონთ, თავისი დამოკიდებულება სწორედ გეოპოლიტიკური მოსაზრების გამო შეიძლება გადალახონ და სტატუსის მონიჭებას ხმა მაინც მისცენ, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მშვიდობა გადამწყვეტია! მშვიდობა არის ის, რისკენაც ყველა უნდა ვისწრაფოდეთ. მსოფლიოს ნაკლები ომი და მეტი მშვიდობისმყოფელი სჭირდება“

– ბოლო 10 წლისა და მეტის განმავლობაში არაფერი გაგვიკეთებია ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან ეროვნული ინტერესების ხარჯზე! ყველაფერს ჩვენი ხალხისთვის ვაკეთებთ! მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რაც საუკეთესოა ჩვენი ხალხისთვის და მომავლისთვის! კიდევ ერთ რამეს მინდა გავუსვა ხაზი: ბოლო 10 წლისა და მეტის განმავლობაში არაფერი გაგვიკეთებია ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან ეროვნული ინტერესების ხარჯზე! ყველაფერს ჩვენი ხალხისთვის ვაკეთებთ! მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რაც საუკეთესოა ჩვენი ხალხისთვის და მომავლისთვის! – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „პარიზის მშვიდობის ფორუმის“ ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე – „თანამშრომლობის ასპექტები დაპირისპირებულ სამყაროში: მშვიდობის უზრუნველყოფა და უსაფრთხო სამყაროს შენება კავკასიის მაგალითზე“ – გამოსვლისას განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების, მშვიდობიანი დიალოგის გარეშე არ იარსებებს მშვიდობა.

– კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ამ შესაძლებლობისთვის; ჩვენ შესახებ საუბრის შესაძლებლობისთვის. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ორგანიზატორებს. თქვენც გიხდით მადლობას მოდერაციისთვის. ბოლოს ერთ რამეს დავამატებ: 2 წლის წინ წარმატებით ჩავატარეთ რიგით პირველი მედიაცია და ამის პრეცედენტი შევქმენით პრემიერ-მინისტრ ფაშინიანთან და პრეზიდენტ ალიევთან ერთად, როდესაც აზერბაიჯანმა 15 დაკავებული პირი გაათავისუფლა საქართველოს მედიაციის გზით, ხოლო სომხეთმა მას გადასცა დანაღმული ტერიტორიების რუკები. ამდენად, საქართველოს შეუძლია ამ შედეგების მიღწევა და მიმაჩნია, რომ აქ ნდობის ფაქტორი გადამწყვეტია. როდესაც ერთი მხარე მეორეს სთავაზობს მედიატორს, მას ორივე უნდა ენდობოდეს. თუ ნდობა არ იარსებებს, არც მედიაცია იქნება წარმატებული. და კიდევ ერთი რამ: დავოსში მაქვს ნათქვამი წლევანდელი წლის იანვარში, რომ შეიძლება მხარეები ერთმანეთს არ ენდობოდნენ, მაგრამ თანამშრომლობა უნდა შედგეს. თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების, მშვიდობიანი დიალოგის გარეშე არ იარსებებს მშვიდობა, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერის განცხადებით, მსოფლიოს ნაკლები ომი და მეტი მშვიდობისმყოფელი სჭირდება. შევძელით ჩვენი ეკონომიკის გაზრდა. გასამმაგდა ქვეყნის ეკონომიკა 2012 წლიდან.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ასეა ლარის კურსის გამყარებისა და სულადობრივი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიხედვით, რომლის ოდენობაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გაორმაგდა აშშ დოლარის დენომინაციით.

– ინფლაციის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. სომხეთთან ერთად, მსოფლიოს ყველაზე სწრაფადმზარდი ეკონომიკა გვაქვს ამჟამად. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან კარგ დარგობრივ პოლიტიკას და ეფექტურ მმართველობას ვაწარმოებთ. სწორედ ამის გამო ძლიერი ეკონომიკური ზრდა გვაქვს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, – განაცხადა პრემიერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რუსეთთან მეგობრობის პოლიტიკა არ გამოდის და არც არასდროს გამოსულა“

მარიამ მჭედლიშვილი

## ოკუპანტების მორიგი მსხვერპლი

6 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალის მიმდებარედ რუსმა ოკუპანტებმა მოკლეს თამაზ გინტური, ერთი ადამიანი – ლევან დოთიაშვილი კი მძევლად აიყვანეს. რამდენიმე დღეში დოთიაშვილი გაათავისუფლეს. 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის ვეტერანი, 58 წლის თამაზ გინტური ოკუპანტებმა ზურგიდან ჩაცხრილეს მაშინ, როცა ის სალოცავიდან გამოდიოდა. თამაზ გინტური 11 ნოემბერს სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ტრაგედიაზე რეაგირებისკენ საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდეს პრეზიდენტმა, პრემიერმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. მომხდარი დაგმეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.



– რუსეთთან მეგობრობის პოლიტიკა არ გამოდის და არც არასდროს გამოსულა... ხვალ შეიძლება მიიღონ (რუსებმა) გადაწყვეტილება და სამხედრო ნაწილები, რომლებიც არის ცხინვალში, წამოვიდნენ დანარჩენ საქართველოზე. რუსეთს არასდროს არავისთვის არანაირი გარანტია არ მიუცია და ვერც ვერასდროს მისცემს, – მომხდარის შეფასებისას აღნიშნა პოლიტოლოგმა ვახტანგ ძაბირაძემ.

– ქართულ სახელმწიფოებრიობაზე ეს უხეში თავდასხმა კიდევ ერთხელ ამხელს „ერთმორწმუნე ძმის“ ნამდვილ სახეს, – ასეთია პრეზიდენტ ზურაბიშვილის მოსაზრება.

თამაზ გინტურის მკვლელობას „უმძიმესი დანაშაული და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის კიდევ ერთი უმძიმესი შედეგი“ უწოდა მმართველი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.

მმართველმა გუნდმა ეს თემაც ნაციონალურ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად გამოიყენა.

– დღეს ტრაგედიით სარგებლობას ის ხალხი ცდილობს, ვინც უმძიმესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ვერც ის პოლიტიკური ძალა, ვინც თავისი მოღალატეობრივი მოქმედებებით რუსეთს ოკუპაციის საშუალება მისცა და ტერიტორიები გადაუფორმა, – თქვა მდინარაძემ.

– საქართველოს მთავრობა ყველა ზომას იღებს დამნაშავის დასასჯელად. არსებულმა რთულმა უსაფრთხოების გარემომ და ოკუპაციის ყოველდღიურმა სიმძიმემ შეიწირა უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. მსგავს ფაქტს შეეწირა ზუგდიდში სოფელ ხურჩასთან გიგა ოთხოზორიას სიცოცხლეც, – აღნიშნა „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ, ირაკლი ჩიქოვანმა.

ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განმარტა, რაში მდგომარეობს წინა ხელისუფლების (ნაციონალური მოძრაობის) დანაშაული:

– რუსეთს ოკუპაციის საშუალება მიეცი, მათ საოკუპაციო ხაზი გაუვლე, ადამიანები იმ ზონაში დატოვე, სადაც იცოდი, რომ დახოცავდნენ და ხალხი დაახოცინე.

ვოლსკის თქმით, საქართველოში გარკვეულ პოლიტიკოსებს თამაზ გინტურის სიკვდილი გაუხარდათ. ასეთებს შორის მან პრეზიდენტი ზურაბიშვილიც მოიხსენია.

– ამას კაცობა რომ აღარ ჰქვია, ეს კი ყველას გვესმის, – ასე გამოეხმაურა ვიცე-სპიკერის გამონათქვამს პრეზიდენტი.

ხელისუფლების გამონათქვამები გააკრიტიკა „რონდელის ფონდის“ უფროსმა სპეციალისტმა ბუკა პეტრიაშვილმა.

– სახელისუფლებო გუნდის წევრები ბრიყვები ჩანან, როცა ამბობენ, რომ წინა ხელისუფლების მემკვიდრეობაა ოკუპაცია. ოკუპანტებმა საქართველოს მოქალაქეები (ამ შემთხვევაში ერთი მოქალაქე) ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დახოცეს, – აღნიშნა პეტრიაშვილმა.

პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი უცნაურად მიიჩნევს მმართველი გუნდის (მთავრობისა და უმრავლესობის) მოწოდებებს საერთაშორისო საზოგადოების მიმართ იმ დროს, როცა მისმა წევრებმა დასავლეთი ბევრჯერ გაკიცხეს, „გლობალური ომის პარტიის“ მზაკვრობაზე მუდმივად ლაპარაკობენ, რუსეთის მიმართ კი მაამებლობას იჩენენ.

– დღეს რუსეთს აწყობს ასეთი ხელისუფლება, რომელიც ხმას არ ამოიღებს არაფერზე. რომელ თანამეგობრობას მოუწოდეს – გლობალური ომის თანამეგობრობას? მათთან ხომ გაწყვიტეს კონტაქტი? საერთოდ არავინ არაფრად თვლის ჩვენს ხელისუფლებას. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთი არ ასრულებს თავის ვალდებულებას 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებისა, სადაც ამბობს, რომ უნდა გაიყვანოს ჯარები, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

სამძიმარი თამაზ გინტურის მკვლელობის გამო გამოხატეს ევროკავშირმა და აშშ-მა. ამასთან, ევროკავშირის მისიამ მოუწოდა მხარეებს, „გამოიჩინონ თავშეკავება და მიიღონ ყველა საჭირო ზომა შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად“.

– ეს სიკვდილი არის ნათელი მაგალითი იმ ნგრევისა, რომელსაც რუსეთი იწვევს საქართველოსა და სხვა ტერიტორიების მიმდინარე ოკუპაციით, – აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა მეთიუ მილერმა.

მომხდარი დაგმეს სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებმა, საგარეო უწყებებმა. მათ შორის, ისრაელის საელჩომ, ასევე ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ხავიერ კოლომინამ.

• • •



## ევროკომისიის პირველადი ანგარიში

8 ნოემბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა დადებითი დასკვნა საქართველოს შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაბიჯი ევროკავშირის წევრობის კანდიდატობისკენ გადადგმულია. გადაწყვეტილებას საქართველოს კანდიდატობაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები დეკემბერში მიიღებენ.

ამ გადაწყვეტილებას ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ. მილოცვები იყო უცხოეთიდანაც. მილოცვის ადრესატად საზღვარგარეთელი პარტნიორები ქართველ ხალხს და საქართველოს ასახელებდნენ.

– ევროკომისიის გადაწყვეტილება ჩვენი ხალხისა და ხელისუფლების ძალისხმევით მიღწეული შედეგია, – განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ მეორემ.

მან გამოთქვა იმედი, რომ „საქართველო ღირებულ წვლილს შეიტანს ამ დიდი ევროპული ოჯახის წინსვლაში“.

პრეზიდენტმა იმავე საღამოს ხალხი საკუთარ რეზიდენციასთან მიიწვია. ადრე ჩაფიქრებული კონცერტი ვერ გაიმართა თამაზ გინტურის მკვლელობის გამო. ამ დღეს სალომე ზურაბიშვილმა წამოიწყო ხელმოწერების კამპანია „ჩვენი ხმა ევროპას“.

– ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, მოგმართავთ თქვენ, ევროპელ ლიდერებს. დეკემბერში, ისტორიულ გადაწყვეტილებამდე გვსურს მოგაწვდინოთ ჩვენი ხალხის ერთობლივი ხმა და დაგანახოთ ჩვენი ერთობლივი სულისკვეთება, – ნათქვამია მიმართვაში.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი საუბრობს პრეზიდენტ ზურაბიშვილის დამსახურებაზე ამ საქმეში:

– პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ წარმატებაში. მას სრულიად დამსახურებულად ეკუთვნის მადლობა.

თინა ხიდაშელმა იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტი მომდევნო თვეების განმავლობაშიც „ასეთივე პრინციპული და შეუქცევადი იქნება“.

ევროკომისიამ საქართველოს შესასრულებლად 9 დათქმა, ანუ პირობა წამოუყენა. ერთ-ერთი მათგანია ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაახლოება. პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა განმარტა, რომ საქართველო რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებთან მიერთებას არ აპირებს.

• • •

## პროცესები ნაციონალურ მოძრაობაში

გასულ კვირაში აქტუალური იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარშემო განვითარებული მოვლენები.

თავიდან კლინიკა „ვივამედში“ მყოფმა ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საარჩევნო სია.

მიხეილ სააკაშვილის სიტყვებით, პრიორიტეტული უნდა გახდეს ახალი სახეების გამოკვეთა. „განსაკუთრებით, ახალგაზრდების წამოწევა, ერთიანობა და საერთო მიზნისკენ გაერთიანებული ძალების მოძრაობა“.




– ჩვენი სიის აბსოლუტური უმრავლესობა უნდა შედგებოდეს იმ ადამიანებისაგან, რომლებიც არასდროს ყოფილან პარლამენტის წევრები. ამისათვის საჭიროა ფართოდ გაიღოს კარი და დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით“.

თავისი აზრი იმაზე, თუ ვინ უნდა მოხვდეს მომავალ პარლამენტში, გამოხატა ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა თავმჯდომარემ ნიკა მელიამ.

მელია, რომელიც დაპირისპირებულია პარტიის ახლანდელ თავმჯდომარესთან – ლევან ხაბეიშვილთან და მის გუნდასთან, აცხადებს:

– მომავალი პარლამენტი უნდა იყოს ქართველი ხალხის წარმომადგენელი. თითოეული დეპუტატი ქართველი ხალხის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს და არა მილიონერთა კლუბის ინტერესს. მას შემდეგ, რაც ათასობით თანამოაზრეს შევხვდები, საბოლოო გადაწყვეტილებას გავაცნობ საზოგადოებას.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან ოპტიმისტურად უყურებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პერსპექტივებს. მისი თქმით, „პარტია უნდა მოემზადოს გადამწყვეტი ბრძოლებისთვის“.

სააკაშვილმა საკუთარ თავზეც ილაპარაკა:

– ყველა, ვინც ცდილობს, რომ თავისი ვიწრო მიზნებისთვის „დავრდომილ“ ადამიანად წარმოადგინოს, რომელიც ვერ აცნობიერებს ბოლომდე, თუ რას აკეთებს, პუტინის თამაშს თამაშობს და ძალიან მწარედ ცდება. ფიზიკურად მაქვს პრობლემები, მაგრამ სულიერად არასდროს ვყოფილვარ უფრო მტკიცედ, ვიდრე ახლა.

მოგვიანებით სააკაშვილმა ნაცმოძრაობის წევრებსა და მხარდამჭერებს მოუწოდა, რომ 23 ნოემბრამდე შექმნან მანიფესტი, რომელშიც პარტიის ერთიანობაზეც იქნება საუბარი. ვინც მანიფესტს ხელს არ მოაწერს, ის „ავტომატურად დაიყენებს თავს პარტიის გარეთ“.

ნიკა მელიას სხვა ინიციატივა აქვს. მისი შემოთავაზებაა, შეიქმნას ნდობის უფლებამოსილი საბჭო, რომელიც პარიტეტულ საწყისებს დაეფუძნება.

– პარტია ორად არის გაყოფილი. მენეჯმენტის (პარტიის მოქმედი ხელმძღვანელობა) გადაწყვეტილებების შედეგად დაიკარგა ერთიანობა, დაზიანდა ნდობა პარტიის მიმართ, ჩაკვდა პოლიტიკური პროტესტი, – აღნიშნა მელიამ.

ოპონენტები ნაციონალურ მოძრაობას 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევებს ახსენებდნენ და სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაულებზე ლაპარაკობდნენ. იყო საუბარი იმაზეც, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების დამხობის გეგმებს არ ეშვება.

ეკონომიკა

## სად ვყიდულობთ ცოცხალ ყვავილებს, რომლის იმპორტი 1,4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა

მიმდინარე წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ცოცხალი ყვავილების იმპორტი 1,4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში 3,661 მლნ აშშ დოლარის ყვავილები შემოვიდა, წინა წლის 9 თვეში – 2,178 მლნ აშშ დოლარის.

ამასთან, წელს იმპორტირებული ყვავილების თითქმის 29% სომხეთზე მოდის, შემდეგია ეკვადორი 26,4%-ით და ნიდერლანდები 26,3%-ით.

უფრო კონკრეტულად იმ ქვეყნების ჩამონათვალი, საიდანაც 2023 წლის 9 თვეში ყვავილები შემოვიდა, ასე გამოიყურება:

სომხეთი – 1,053 მლნ აშშ დოლარი; ეკვადორი – 969.7 ათასი აშშ დოლარი;

ნიდერლანდები – 965.7 ათასი აშშ დოლარი; თურქეთი – 310 ათასი აშშ დოლარი, კენია – 242.4 ათასი აშშ დოლარი; აზერბაიჯანი – 40.7 ათასი აშშ დოლარი; ეთიოპია – 39.3 ათასი აშშ დოლარი; ირანი – 21.6 ათასი აშშ დოლარი; ინდოეთი – 7.7 ათასი აშშ დოლარი; გაერთიანებული სამეფო – 5.3 ათასი აშშ დოლარი.

გარდა ამისა, წელს ყვავილები მცირე რაოდენობით შემოვიდა საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და რუსეთიდან.

აქვე, აღსანიშნავია, რომ წელს, იგივე საანგარიშო პერიოდში, საქართველოდან ყვავილების ექსპორტმა 24.5 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 23.1 ათასი აშშ დოლარის უკრაინაში, ხოლო 1.3 ათასი აშშ დოლარის სომხეთში გავიდა.

## Bloomberg-ზე 1 დოლარი 2.6955 ლარად ივაჭრება

Bloomberg

Bloomberg-ის სავაჭრო პლატფორმაზე 12:00 საათისთვის ერთი დოლარი 2.6955 ლარად ივაჭრება.

პლატფორმაზე ვაჭრობა 2.6955 კურსით დაიწყო.

ეროვნული ბანკის მიერ 9 ნოემბრის დადგენილი კურსით, ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება დღეს 2.7048 ლარია. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 2.8914 ლარია.

## სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები გაიზარდა

სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები გაიზარდა – ყველა სხვა სამოხელეო დანაშაული კი შემცირდა.

კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო სტრუქტურებში ქრთამის აღების ფაქტები 8.33%-ით გაიზარდა. მიმდინარე წელს აღნიშნული დანაშაულის 26 ფაქტი დაფიქსირდა, მაშინ როცა 2022 წლის 1-ელ 9 თვეში 24 შემთხვევა იყო.



ოფიციალური მონაცემებით, ქრთამის აღების ფაქტების გარდა, ყველა სამოხელეო დანაშაული შემცირებულია. კერძოდ, ქრთამის მიცემის ფაქტები 25%-ით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტები – 42.19%-ით; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევები – 22.46%-ით; სამსახურებრივი სიყალბის ფაქტები წლიურად – 59.57%-ით; სამსახურებრივი გულგრილობის შემთხვევები – 23.38%-ით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურში დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევები – 100%-ით; ხოლო განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულების ფაქტები კი 20%-ით არის შემცირებული.

ამასთან, შს სამინისტროს მონაცემებით, მთლიანად სამოხელეო დანაშაულის მაჩვენებელი ქვეყანაში წლიურად შემცირებულია. კერძოდ, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში 311 შემთხვევა დარეგისტრირდა, მაშინ როცა, გასული წლის ამავე პერიოდში რეგისტრირებული იყო ამ დანაშაულების 432 შემთხვევა. რეგისტრირებული შემთხვევები წლიურად 28.01%-ით ანუ 121 შემთხვევით არის შემცირებული.

რაც შეეხება დანაშაულის გახსნის მაჩვენებელს, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში 311 შემთხვევიდან გაიხსნა 54 საქმე, ანუ გახსნის მაჩვენებელია – 17.36%, ხოლო 2022 წლის იანვარ-სექტემბერში 432 ფაქტიდან გაიხსნა 102 შემთხვევა და, შესაბამისად, გახსნის მაჩვენებელმა 23.61% შეადგინა.

## ბიტკოინის ფასმა რეკორდულად მოიმატა



ბიტკოინმა 2022 წლის მაისის შემდეგ რეკორდი მოხსნა. ამ დროისთვის მისი ღირებულება 36,6 ათასი დოლარია.

ბოლო რამდენიმე საათში მსოფლიოში ყველაზე პოპულარული კრიპტოვალუტის ღირებულებამ 6,4%-ით მოიმატა. წლის დასაწყისის შემდეგ კრიპტოვალუტის ფასი დაახლოებით 120%-ით გაიზარდა.

როგორც Bloomberg-ი წერს, ფასის მატების მთავარი მამოძრავებელი ბიტკოინისთვის საბირჟო ვაჭრობის ფონდის გაშვების მოლოდინი იყო, რომელიც საშუალებას მისცემს ინვესტორებს, კრიპტოვალუტა აქციების სახით ჩვეულებრივი საბროკერო ანგარიშიდან იყიდონ. გარდა ამისა, ფასს ზრდის მოლოდინი, რომ აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დაასრულა საბაზისო განაკვეთის გაზრდა და მომავალში მონეტარული პოლიტიკის შერბილებას გააგრძელებს.

კომპანია Bernstein-ის ანალიტიკოსების აზრით, ასეთი ტემპით 2025 წლისთვის, ბიტკოინის ღირებულება შესაძლოა, 150 ათას დოლარიან ნიშნულსაც მიუახლოვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „არ ვართ უცხოები, ბევრი საერთო გვაქვს, მოვძებნით ქართველები და აფხაზები ისევ საერთო ენას“

ვაგრძელებთ ინტერვიუს დოდო გუგეშაშვილთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა, ინტერვიუ აფხაზეთის ომის ამბებს მოიცავს.

***– იქნებ ამ ბრძოლების მონაწილე ავთო იოსელიანზე და მის გმირულ დაღუპვაზეც გვიამბოთ?***

– ბევრჯერ იყო სეპარატისტთა მხრიდან ოჩამჩირის ალების მცდელობა. მორიგი ასეთი მცდელობაც 1993 წლის შემოდგომაზე, დიდი მსხვერპლის ფასად დაჯდა ორთავე მხრიდან. 150 მებრძოლამდე დაიღუპა მაშინ. დახოცილი სეპარატისტები შტაბთან მოვაგროვეთ, ეზოში. არ გვყავს მანქანები, რომ გავუგზავნოთ მიცვალებულები. მორგში უნდა გადავასვენოთ ყველა. ვერ დაიტევს მორგი ჩვენი და გადამთიელების ცხედრებს. ყველა გზებით ვცდილობთ გამოსავლის მოძებნას. ბევრი გადამთიელი ტყვედ აიყვანეს ჩვენმა ბიჭებმა. ახლა მათი დაკითხვა მიმდინარეობს შტაბის დიდ ოთახში. დაკითხვას საშკა იოსელიანი ვიდეო-კამერით იღებს.

ოჩამჩირეში სახლი აქვს ნუგზარ ჟღენტს. ბევრ ადგილობრივ აფხაზს იცნობს. ერთი ნაცნობი სეპარატისტი აფხაზი, ფეხში დაჭრილი, ჰოსპიტალში წაიყვანეს ნუგზარ ჟღენტმა და დათო დანელიამ. ყველა ქირურგი საოპერაციოშია, მძიმე დაჭრილ ბიჭებს გამაოგნებელი ოსტატობით უკეთებენ ოპერაციებს.

გადასახვევში შეიყვანეს აფხაზი ნუგზარმა და დათომ. ექთანი დაიხმარა ნუგზარმა, თავად ამოუღო ტყვია ფეხიდან. საგულდაგულოდ დაუმუშავა ჭრილობა ექთანმა აფხაზ სეპარატისტს (ხშირად უწევთ ჩვენს ექიმებს და მედიცინის მუშაკებს დაჭრილი სეპარატისტებისთვის ოპერაციების გაკეთებაც და მკურნალობაც. პაციენტს ეროვნება არა აქვს, იგი მხოლოდ პაციენტია). შტაბში მოიყვანეს ფეხგადახვეული ტყვე აფხაზი ისევ ბიჭებმა.

„მე შენს მიწაზე და შენს ქვეყანაში არ მოვსულვარ; შენ მოხვედი ჩემს ქვეყანაში და ჩემს მიწაზე!“, – ასეთია დაჭრილი აფხაზის ულოგიკო ლოგიკა.

ნუგზარი რალაცეების ახსნას ცდილობს, რომ ერთი ქვეყანა, ერთი სამშობლო – საქართველო გვაქვს და ა.შ. არ ისმენს. იგივეს იმეორებს ჯიუტად. ისე კი, ვაჟკაცურად უჭირავს თავი იარალაყრილს, მაგრამ არა ღირსებააყრილ აფხაზ მებრძოლს. მას სიტყვიერ შეურაცხყოფასაც კი არცერთი ჩვენთაგანი არ აყენებს, ისევე როგორც სხვა ტყვეებს, ნებისმიერ დროს აყვანილებს. ომი სიკვდილია, სისხლია, საშინელება და უბედურებაა; მაგრამ ომს დაუწერელი კაცური კანონები აქვს. არ ეკადრება ამ კანონების დარღვევა მეომრებს. ჩვენი ბიჭები კაცური კანონებით მოქმედებენ. თუმცა, არის უიშვიათესი გამონაკლისი ვინმე უკეთურის მხრიდან და მასაც საკადრის პასუხს სცემენ სასტიკად ჩვენები. მერე გიამბობთ ასეთ შემთხვევაზე.

დაკითხვების დროს, ოთახში, ოჩამჩირის უშიშარი კომენდანტი, ანზორ მარგიანი (რომელიც წინა ხელისუფლების დროს შს მინისტრის თანაშემწე იყო) და მისი ნათესავი, ავთო იოსელიანი პოზიციებიდან დაბრუნებულები შემოვიდნენ. ანზორ მარგიანის ნათესავები კოჩარის დაცემისას სასტიკად აწამეს: ტანზე მანქანის საბურავები ჩამოაცვეს და საბურავებს ცეცხლი მოუკიდეს.

პოზიციებზე ნახოხიალევ ავთო იოსელიანს, როგორც ჩანს ხელყუმბარის „კალცო“ მოუსუსტდა, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ხელყუმბარა ძირს დავარდა... ავთომ რალაც წამის მეასედში ფანჯარას გახედა, ფანჯრის ქვემოთ ქუჩაში ადგილობრივი მაცხოვრებლები და ჩვენი მეომრები არიან, უცებ შემოგვატარა მზერა ოთახში მყოფთ და მის თვალებში დავინახე გადაწყვეტილება: ავთომ საკუთარი სხეულით გადაფარა იატაკზე დავარდნილი ხელყუმბარა. ნაფლეთებად ქცეულმა ავთო იოსელიანმა მოასწრო ეკითხა – „ბიჭებს ხომ არაფერი დაშავებიათო?!“...

ბიჭები ავთო იოსელიანის დაგლეჯილ სხეულს პლედზე დებენ. ყელში მომსკდარ ბღავილს ყელშივე უკან ვიბრუნებ. გულ-მუცელს მიწვავს, ღრიალი ახლა ჩემთვის შვებაა, მაგრამ არ მაქვს უფლება, რომ საკუთარ თავს შვების ფუფუნება მივცე არც ახლა და არაც არასდროს ომის პირობებში!

ავთოს სისხლით და სხეულის ნაფლეთებით სავსეა ოთახის იატაკი, კედლები, ჭერი.

***– ტყვეების და მიცვალებულების გაცვლის პროცესს რაც შეეხება.***

– ნუგზარ ჟღენტი, ოჩამჩირის პოლიციის უფროსის, ვახტანგ კორსანტიას მეშვეობით თავის ადრინდელ ნაცნობს ქიშმარიას უკავშირდება საიდუმლოდ. ვახტანგ კორსანტია ოჩამჩირის გამგებლის, მეომრების გვერდში მდგომი ხუტა



გუგუჩიას ძმისშვილია. ქიშმარიას ნუგზარი ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, როცა რუსეთის პოლკოვნიკის რანგში ოჩამჩირის პოლიციაში მუშაობდა.

ქიშმარიას მოთხოვნის თანახმად, ნუგზარი სამოქალაქო ფორმით, უიარალოდ უნდა შესულიყო სოფელ მერკულაში. ეს სალამოს ხუთ საათზე უნდა გაეკეთებინა. ტყვარჩელის მიმართულებით ერთი საათი უნდა ევლო. მერე ქიშმარიას „ფეხი“ (გამოგზავნილი კაცი) შეხვდებოდა და ქიშმარიასთან მიიყვანდა.

ნუგზარ ჟღენტი ტანსაცმელს ადგილობრივებს ენათხოვრა. მაღალი, სიმპათიური ბიჭია ნუგზარი. ჭავჭავაძეების სიძე. მუდამ მოწესრიგებულს ისეთი ჯღან-ჯღუნი აცვია ახლა, რომ საკუთარი თავი ეცოდება. „პსმ“-ის პატარა რევოლვერი ფეხსაცმელში უდევს; მიდის მერკულიდან ტყვარჩელისკენ ნუგზარი. ერთი საათის ნაცვლად, ორი საათი იარა. დიდი ხანია მოწინააღმდეგის პოზიციებზეა, არავინ ესვრის, არც გროზნოდან გამოგზავნილი მომხდურები შამილ ბასაევის მეთაურობით, არც ადგილობრივი აფხაზ-სომეხი სეპარატისტები.

უცებ ბუჩქებიდან რუსულ სამხედრო ფორმიანმა ტიპმა თავი ამოყო. სრულიად გაუგებრად ნუგზარს კუნთები შეუმოწმა. ერთი სული აქვს ჟღენტს საკუთარი კუნთების ძალა სეპარატისტს საკუთარ სხეულზე აგრძნობინოს. თავის იკავებს მაინც, ტყეში მიყვება. ტყეში ექვსი ჯიპი დგას. თითოეულში თითო ფაფახიანი და გენერლის ეპოლეტებიანი კაზაკი ზის. იქვეა ქიშმარიაც. ნუგზარი ქიშმარიას შეხვედრის მიზეზს უკონკრეტებს:

1) მათი მიცვალებულები რომ მათივე მანქანებით წაიყვანონ; მანქანებს საწვავით ჩვენ უზრუნველვყოფთ და 2) ამჟამად ჩვენს შტაბში 27 მებრძოლი ტყვე იმყოფება, ნუგზარი მათში იმდენივე ტყვეს ითხოვს. ქიშმარია ორთავე მოთხოვნაზე თანახმაა. ამბობს, რომ მას 30 სამოქალაქო ტყვე ჰყავს (უბრალო მოქალაქეები). ნუგზარი „ზედმეტ“ სამ ტყვეს „საჩუქრად“ ითხოვს. ქიშმარია თანხმდება.

– შენ რომ გამოსულიყავი ჩვენსკენ, სუფრას გაგიშლიდი, – ეუბნება ნუგზარ ჟღენტი ქიშმარიას. ტყეში სუფრა იშლება. ნუგზარი საქართველოს სადღეგრძელოს სვამს. იცის, რომ მას არავინ აყვება. ბოლომდე ცლის ჭიქას. ქიშმარიას მამა იმ მომენტშიც ოჩამჩირეში ცხოვრობს, დედა – ზუგდიდში. არავინ ეხება არც მამას, არც – დედას.

– არ ვართ უცხოები, ბევრი საერთო გვაქვს, მოვძებნით ქართველები და აფხაზები ისევ საერთო ენას. ამათ აქ რა ესაქმებათ? – ეკითხება ქიშმარიას ნუგზარი და თან კაზაკ-რუს-ჩეჩენ-ყაბარდოელ-ადიღეელ ჯიგიტებზე უთითებს. ქიშმარიას მხრიდან ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. ნუგზარს „პსმ“-ის რევოლვერი უპოვეს. ქიშმარიამ უსაყვედურა.

– ეს შენთვის არა, ჩემთვისაა, – ეუბნება ნუგზარი. მეორე დილით წამოსვლისას დაუბრუნეს ნუგზარს რევოლვერი, ის „ნაჩუქარი“ სამი ტყვეც წამოიყვანა. ისევ იმ მეგზურმა გამოაცილა. როგორც კი ჩვენს პოზიციებზე გადმოვიდნენ, ისე მოკურცხლეს ტყვედყოფილებმა, რომ ნუგზარისთვის მადლობაც არ უთქვიათ. ქიშმარიას მიერ გამოგზავნილი მანქანები ოჩამჩირეში მოდიან, საწვავს ჩვენ ვასხამთ და თავიანთ მიცვალებულებს ვატანთ.

***– იმ 27 ტყვეს ბედი როგორ წარიმართა?***

– ადგილობრივ მოქალაქეებში გავცვალეთ მათი ტყვეები. მერე ტყვეობიდან დახსნილი მოქალაქეები საშინელებებს ყვებიან, სადისტურად ექცეოდნენ კონფედერატები, ექსპერიმენტებს ატარებდნენ ცოცხალ ადამიანებზე.

მედიცინა

## რატომ არის კარგი უმი ბოსტნეულის წვენები



**ისპანახის წვენი**

ისპანახის წვენი სასარგებლოა მთელი საჭმლის მომნელებელი ტრაქტისთვის, კუჭიდან მსხვილ ნაწლავამდე.

უმი ისპანახი მდიდარია ისეთი ორგანული ნივთიერებებით, რომლებიც ასუფთავებენ და აღადგენენ კუჭ-ნაწლავის ნორმალური მუშაობის ფუნქციას. ამ ბოსტნეულიდან მომზადებული 0,5 ლ ახალი წვენის ყოველდღიური მიღებით, მოკლე დროში შესაძლებელია ყველაზე მძიმე ფორმის ყაბზობისგან მორჩენა.

ისპანახის სხვა ძვირფასი თვისებაა კბილებსა და ღრძილებზე მისი დადებითი ზემოქმედება, იგი იცავს მათ პარადონტოზისგან. ეს ავადმყოფობა სურავანდის მსუბუქ ფორმას წარმოადგენს და ორგანიზმში სწორედ იმ ელემენტების ნაკლებობის მიზეზად გვევლინება, რომლებსაც მოიცავს სტაფილოსა და ისპანახის წვენების ნარევი. მოხარშული ბურღულეულის, რაფინირებული შაქრისა და სხვა არასრულფასოვანი საკვების შედეგად, აგრეთვე C ვიტამინის ნაკლებობითაა გამოწვეული ღრძილებიდან სისხლდენა და კბილის პულპის ფიბროიდული დაშლა. დაავადების საბოლოო განკურნება შესაძლებელია მხოლოდ უმი, ნატურალური მცენარეული საკვების, განსაკუთრებით კი სტაფილოსა და ისპანახის წვენების მიღებით.

ისეთი დაავადებები, როგორებიცაა ნაწლავების წყლული, კრუნჩხვები, ნერვული აშლილობა, თირკმელზედა და ფარისებური ჯირკვლების სეკრეციისა და აგრეთვე გულის ფუნქციის დარღვევა, ნეფრიტი, ართრიტი, ჩირქგროვა და ძირმაგარები, კიდურების შეშუპებანი, მიდრეკილება სისხლდენისადმი, ძალის დაკარგვა, რევმატული და სხვა ტკივილები, სისხლის დაბალი და მაღალი წნევა, მხედველობის დეფექტები, თავის ტკივილები (მათი ჩათვლით, რომელთაც გააჩნიათ შაკიკის ნიშნები) – უპირველეს ყოვლისა, კუჭ-ნაწლავის ქვედა ნაწილებში სხვადასხვა წიდების დაგროვების, აგრეთვე ორგანიზმში ზოგიერთი ელემენტის (რომლებსაც მოიცავს უმი სტაფილო და ისპანახი) უკმარისობის შედეგია.

მიზანშეწონილია, ყოველდღე მიიღოთ 560 გრამი უმი ბოსტნეულის წვენი; ამ დროს დიეტიდან უნდა გამოირიცხოს ხორცის პროდუქტები.

ისპანახი, სალათა და წყლის წიწმატი, სტაფილოსა და მწვანე წიწაკასთან ერთად, ბოსტნეულის იმ სახეობებს მიეკუთვნებიან, რომლებიც ყველაზე მეტად მოიცავენ C და E ვიტამინებს. ამ უკანასკნელის უკმარისობა ქალების უნაყოფობისა და მუცლის მოშლის, აგრეთვე მამაკაცთა სქესობრივი სისუსტის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. დამბლის მრავალი ფორმაც ასევე E ვიტამინის ნაკლებობის შედეგია; მისი უკმარისობა იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და საერთო გუნება-განწყობის გაუარესებას.

ისპანახი არ უნდა გამოვიყენოთ მოხარშული ან კონსერვირებული სახით, ვინაიდან ამ შემთხვევაში მასში შემავალი მჟაუნას სიმჟავის ატომები მაღალი ტემპერატურის გავლენით არაორგანულნი ხდებიან, რაც ხელს უწყობს მათი კრისტალების დაგროვებას თირკმელებში.

## მიშო სულუხია: „მარბეიას საერთაშორისო ფესტივალმა ქართველი რეჟისორების ნამუშევრებს გაუღო კარი“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კინოდ აქციოს. მცირე მეტრაჟში მოცემული ყოველი წუთი შესაძლოა ახალგაზრდა ხელოვანს საკუთარი კეთილდღეობის ფასად დაუჯდეს. ამიტომ ჩემი გამოძახილი და თანადგომა ამ ეტაპზე ახალგაზრდა რეჟისორებისკენ მიიწევს და სწორედ ამიტომაც, წელს პირველად წყალტუბოს კინოფესტივალზე ნაჩვენები ახალგაზრდული კინო სექტორი ძალიან თემატურად და ამაყად წარვადგინეთ მარბეიას საერთაშორისო დიასპორულ კინოფესტივალზე. მიხარია და არ მენანება ჩემი არც ერთი წუთი იმ 5, 6 კვირის მოსამზადებელი პროცესიდან, სადაც ჩემს გუნდთან ერთად შევარჩიე და გამოვავლინეთ ახალგაზრდა რეჟისორების ფილმები, მოვაქციეთ საზაფხულო ციებ-ცხელებათა ეპიცენტრში, ვანახეთ უცხოელ მაყურებელს, დავაინტერესეთ და შევიძინეთ ინტერნაციონალური მხარდამჭერები და ჯერჯერობით მხოლოდ ეს არის, პირადად მე რაც შევძელი.

ფესტივალის ეს სექტორი ახალგაზრდა ფრანგი-კანადელი რეჟისორის დენის ვილენუვის ფილმის ჩვენებით გაიხსნა.

მინდა აქვე ყველა ახალგაზრდა რეჟისორს გადავუხადო მადლობა, ვინც შესარჩევ პროცესში ფილმები გამოგვიგზავნა. განსაკუთრებით კი დიდი მადლობა გამარჯვებულ ფილმებს. ესენია: „ჰეი, გუნეშ!“ – რეჟისორები: ანა ჯეგნარაძე, მარიტა თევზაძე. ეს არის დოკუმენტური ფილმი, რომელიც მოგვითხრობს ახალგაზრდა გოგონას ისტორიას, რომელიც მაღალმთიან რეგიონში ცხოვრობს ცივილიზაციიდან შორს, მისი ხსნა კი მომავალი სირთულეებისგან განათლებაა. „მე, ისინი და მამა“ – სალომე ვეფხვაძის ფილმი, რომელიც საინტერესოდ გამოსახავს პატარა გოგონასა და ახალგაზრდა ფსიქიკურად აშლილი მამის თანაცხოვრებას. „ლილე“ – რეჟისორი ნათია ნიკოლაიშვილი. საინტერესო ხელით ნამუშევარი ანიმაცია, რომელმაც ხაზი გაუსვა ქართველი ახალგაზრდა რეჟისორის ინტერესსა და ნამუშევრის ხარისხს ანიმაციის მიმართ. „თერგი ალძვრა“ – თორნიკე წიკლაური. ესთეტური დოკუმენტური ნამუშევარი, რომელიც კიდევ ერთხელ გვაფიქრებს ეკოლოგიასა და მის მნიშვნელობაზე ჩვენს გარშემო.

ამ ფილმების კომპლექტმა ნამდვილად წარმოადგინა ქართული ესთეტიკა მის ფარგლებს გარეთ და მაყურებლისგან დაიმსახურა დიდი ინტერესი. მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას ყველა ახალგაზრდა ხელოვანს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


**გადაწყვეტილება**

**სააქციო საზოგადოება „ავტოტრანსსისტემა“-ს ს/კ 211752012 კრების მოწვევის შესახებ**

სააქციო საზოგადოება „ავტოტრანსსისტემა“-ს დირექტორატი აქციონერებს გიწვევთ სს „ავტოტრანსსისტემა“-ს აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2023 წლის 05 დეკემბერს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, საბურთალო, ქუჩა აფაქიძე, №5, სადარბაზო 3, სართული 6, ბინა №132, ნოტარიუსი ანა ქაჯაიას ოფისი (კრების ზედამხედველობას და მიმდინარეობას აღრიცხავს ნოტარიუსი ანა ქაჯაია). სააღრიცხვო თარიღად გამოცხადებულია 2023 წლის 29 ნოემბერი.

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
2. კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
3. სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება;
4. წესდების ცვლილება და ახალი წესდების რედაქციის დამტკიცება;
5. აქციათა რეესტრის წარმოების უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნა.

კრების ჩატარებამდე 14 დღით ადრე წერილობით წარმოდგენილი საკითხები და მოსაზრებები განხილული იქნება საერთო კრებაზე.

კრებაში მონაწილეობის უფლება და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობა სააღრიცხვო დღის მდგომარეობით შეგიძლიათ შეამოწმოთ სს „საქართველოს რეგისტრატორში“, (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74-ა, ტელ: 25-15-60; 22-53-51).

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ „ავტოტრანსსისტემა“-ში, მისამართზე: ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის 12ა, მე-2 სართ, ტელ: 593 560 208.

აქციონერთა კრების მუშაობაში აქციონერი მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობისა და აქციათა რეესტრის საფუძველზე.

**სს „ავტოტრანსსისტემა“-ს დირექტორი: ლალი ტიკარაძე**

# ავდეევკასთან ნამდვილი ჯოჯოხეთია



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე ცხელი წერტილი კვლავინდებურად ავდეევკაა. ოკუპანტები ცდილობენ, ნებისმიერი საშუალებებით წაიწიონ წინ. უკვე თვით რუსი გენერლებიც დარწმუნდნენ, რომ ავდეევკის აღება შეუძლებელია.

ავდეევკასთან რუსების შეტევებმა იკლო. თუ გასულ დღეებში ქალაქზე 10-15 იერიში ხორციელდებოდა, ახლა მათი რაოდენობა 9-მდე შემცირდა. ამავე დროს ავდეევკასთან რუსული საოკუპაციო არმიის როტაცია დაიწყო. ფრონტის სხვა უბნებიდან (ზაპოროჟიე, ხერსონი ბახმუტი) აქ ინტენსიურად სხამენ ახალ-ახალ ნაწილებს. მიუხედავად ამისა, ოკუპანტები კვლავ ვერას გახდნენ.

რუსებმა ავდეევკასთან მორიგი მარცხი იწვნიეს. მათ ერთი მეტრითაც ვერ წაიწიეს წინ. მსხვერპლი კი უზარმაზარია. ავდეევკაზე მასირებული შტურმის დაწყებიდან დღემდე (ამა წლის 1 ოქტომბერი) რუსებმა 10.000 მეომარი და 100 ტანკი დაკარგეს, შედეგი კი ნულოვანია. ამან პუტინი აღაშფოთა. ყაზახეთში ოფიციალური ვიზიტის დასრულებისთანავე დიქტატორი პირდაპირ დონის როსტოვში გაემართა. აქ მას რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ და გენერალური შტაბის უფროსი გერასიმოვი დახვდნენ. პუტინი ღრიალებდა და არაფერს ერიდებოდა.

პუტინის როსტოვულმა ვოიაჟმა გარკვეული შედეგები უკვე იქონია. ავდეევკასთან დამატებითი ძალები გადასხეს. ახლა ქალაქთან დისლოცირებული რუსული ჯარის რაოდენობა 42. 000-დან 43. 000-მდე გაიზარდა.

რუსები ჩქარობენ. რატომ? ჩაიშალა პუტინის გეგმა, რომ ავდეევკას უკვე 30 ოქტომბერს აიღებდნენ. ასევე განუხორციელებელი აღმოჩნდა 7 ნოემბერს ავდეევკის აღების მცდელობაც. დონბასში კი წვიმები დაიწყო. მძიმე ტექნიკასაც გადაადგილება გაუჭირდება. თუ ოკუპანტები ამა წლის 30 ნოემბრამდე ქალაქს ვერ აიღებენ, მაშინ მათ მოუწევთ მასირებული შტურმის გადადება მომავალი წლის თებერვლამდე, როცა იქნება ყინვები.

პუტინი ავდეევკასთან დამატებით ძალებს სხამს. განუწყვეტლივ მიმდინარეობს ქალაქის დაბომბვა. ავდეევკასთანაც ნამდვილი ჯოჯოხეთია. მიუხედავად ამისა, უკრაინელები უკან დახევას არ აპირებენ. ისინი ყველა პოზიციას ინარჩუნებენ. ბრძოლა გრძელდება.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.342; სამხედრო ბრონირებული მანქანები – 10.041; არტილერია – 7.527; თვითმფრინავები – 322. განადგურებულია 310. 650 რუსი ოკუპანტი.

# ბლინკენი ისრაელის ომის შესახებ



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი დელიში ჩავიდა. ინდოეთის პრემიერ მოდისთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ღაზას სექტორში მიმდინარე საომარი მოქმედებები შესაძლოა რეგიონალურ ომში გადაიზარდოს.

# ორბანის მორიგი ოინი



უნგრეთის პრემიერმა ორბანმა განაცხადა, რომ უკრაინის ევროკავშირში მიღება არ შეიძლება. ორბანის აზრით, უკრაინა თურმე იმიერკარპატისპირეთში უნგრულ უმცირესობას ჩაგრავს.

# ვინ აიძულებს ზელენსკის პუტინთან კაპიტულაციას?



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. რუსების შეტევა ავდეევკაზე ჩაიშალა. პასუხად რუსეთის დიქტატორმა პუტინმა არ გამორიცხა, რომ უკრაინაზე დაბომბვები გაგრძელდება, კერძოდ, გაძლიერდება შეტევები უკრაინის ენერგოსისტემაზე. პრეზიდენტმა ზელენსკიმ გააკეთა საპასუხო განცხადება:

– თუ პუტინი უკრაინის ენერგოსისტემას შეუტევს, ჩვენ განვახორციელებთ დარტყმებს რუსეთის სანავთობო სისტემაზე!

ამრიგად, სიტუაცია გართულდა. წარმოიშვა შემდგომი ესკალაციის რეალური საფრთხე. პარადოქსია, მაგრამ ამან ბევრი დასავლელი ლიდერი შეაშფოთა. პირველობის პალმა უდავოდ აშშ-ის ექსპრეზიდენტ ტრამპს ეკუთვნის.

– ზელენსკის მოვუწოდებ, რომ სანამ გვიან არ არის, დაიწყოს მოლაპარაკებები პუტინთან! მან უნდა აირჩიოს, თუ რა სჯობია: უკრაინის ე.წ. ტერიტორიული მთლიანობა, თუ გლობალური კატასტროფა, – აცხადებს ტრამპი.

ტრამპს ბანი მისცა ცნობილმა მულტი-მილიარდერმა ილონ მასკმა. მან ზელენსკის ასევე საჯაროდ მიმართა:

– დროა, უკრაინელი ახალგაზრდების ფრონტზე გარეკვა შეწყვიტოთ!

მსგავსი მოწოდებები გააკეთეს უნგრეთის პრემიერმა და რუსეთის გავლენიანმა აგენტმა ორბანმა, ასევე ჩეხეთის პრეზიდენტმა პეტერ პაველმა. მიუხედავად ამისა, ზელენსკის პოზიცია მტკიცეა:

– უკრაინა არც თავის ტერიტორიებს დათმობს და არც საგარეო კურსზე იტყვის უარს!

ზელენკის მხარს უჭერს უკრაინელთა 88%, ასეთია ამერიკელ სოციოლოგთა კვლევის შედეგები. ამავე დროს ზოგიერთ რეგიონში ერთგვარი განსხვავებაა. მაგალითად, დონბასში, ოდესაში, ხარკოვის ოლქში მოსახლეობის 40% რუსეთთან დათმობის წინააღმდეგი არაა, თუ მაგიერში ომი შეწყდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

# პრინც უილიამს ჩვილმა უკბინა



თაყვანისმცემლებთან ახლო ურთიერთობის დროს პრინც უილიამს უცნობი წყვილის ჩვილმა ბავშვმა უკბინა.

პრინცი უილიამი სინგაპურში კვირას, 5 ნოემბერს ჩავიდა. ჩანგის აეროპორტში მას თაყვანისმცემლების ბრბო შეეგება. პრინცი ქალთან შეჩერდა, რომელსაც ხელში რვა თვის ბავშვი ეჭირა, სახელად ალბანე კოსტა. როგორც კი უილიამმა მისკენ ხელი გაიწოდა, ჩვილმა მას იმ წამსვე თითზე უკბინა. პასუხად პრინცმა გაუღიმა და ხელის გული მიუშვირა, შემდეგ კი კიდევ რამდენიმე თაყვანისმცემელს შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ პრინცი უილიამი სინგაპურში მის და სამეფო ფონდის მიერ 2021 წელს დაარსებულ Earthshot Prize-ს პრემიაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. ყოველწლიურად ბუნებრივი გარემოს დაცვის საქმეში შეტანილი საკუთარი წვლილისთვის ხუთი გამარჯვებული ჯილდოვდება და ერთი მილიონი ფუნტის ოდენობის გრანტს იღებს საკუთარი საქმიანობის გასაგრძელებლად.

# აფრიკელი მინისტრი და მისი მცველები გზატკეცილზე დააყაჩაღეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი მის პირად მცველებთან ერთად პირდაპირ გზატკეცილზე დააყაჩაღეს.

ორშაბათს, 6 ნოემბერს მინისტრი სინდისივე ჩიკუნგა იოჰანესბურგიდან სამხრეთით მდებარე გზატკეცილზე ორ პირად მცველთან ერთად გადაადგილდებოდა, როდესაც მათ თავს ბოროტმოქმედები დაესხნენ.

– მინისტრის მანქანის საბურავები ლითონის გზაზე დაყრილი ლურსმნებით იყო დახვრეტილი, რის შედეგადაც ავტომობილი გაჩერდა. ამან კი ბოროტმოქმედებს მათთვის ძვირფასი ნივთების წართმევის საშუალება მისცა, – განაცხადეს ქვეყნის ტრანსპორტის სამინისტროში. ასევე აღსანიშნავია, რომ მძარცველებმა პირად მცველებს იარაღებიც წაართვეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. მინისტრი და მისი მცველები უვნებლად გადარჩნენ.

პოლიციის წარმომადგენლის ატლენდა მეტეს თქმით, ბოროტმოქმედებმა ნაძარცვთან და წართმეულ იარაღთან ერთად მიმალვა მოახერხეს. მათზე ძებნაა გამოცხადებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# შავი ლომი ევროპის სუპერთასის ნახევარფინალშია



შავმა ლომმა 2023 წლის რაგბი ევროპის სუპერ თასის მეორე მატჩში პორტუგალიური ლუზიტანუში უშანსოდ – 22:0 დაამარცხა და ა ჯგუფს ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს.

ლევან მაისაშვილის გუნდს უკვე განაღდებული აქვს თასის ნახევარფინალში თამაში და 18 ნოემბერს კვიპროსში (ლიმასოლი), ისრაელის თელავივ პითს ჯგუფში პირველი ადგილისთვის ერკინება.

ისე, როგორც შავი ლომი ბორჯღალოსნებისთვის, ლუზიტანუში პორტუგალიის ნაკრების საბაზო გუნდია. ამიტომ, ლისაბონში გამართული მატჩი თვენახევრის წინ საფრანგეთის მსოფლიო თასზე გამართული შეხვედრის გაგრძელებად განიხილებოდა. მაშინ პორტუგალიამ საქართველოს (18:18) გეგმები აურია და შავი ლომის ბორჯღალოსნებს მეტოქესთან პირადი ანგარიშებიც ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ შავი ლომი სტუმრად თამაშობდა, მოედანზე მთელი 80 წუთის განმავლობაში დომინირებდა და გამარჯვებულის ვინაობა კითხვის ნიშნის ქვეშ წამითაც არ დამდგარა. ეს არ იყო ჩვენი გუნდის საუკეთესო თამაში. პირველი ტაიმის მიწურულს, მეტოქის 22-ში ზედიზედ სამი ჩვენი დერეფანი წავაგეთ და რამდენიმე რეალური შანსიც გავანიავეთ.

აი, დაცვაში კი, გუნდი საიმედოდ გამოიყურებოდა. ლუზიტანუშმა რამდენჯერმე შეძლო საკუთარი კოზირის გამოყენება და სწრაფმა უკანახაზელებმა მოახერხეს სივრცეების მოძებნა, მაგრამ დაზღვევამ ყველა ჯერზე კარგად იმუშავა. უმეტეს შემთხვევებში კი, მცველები მეტოქეს ეფექტური ბოჭვებით უკან ახევინებდნენ და მათ საიმედო გარჯაზე საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს.

პირველ ტაიმში ორი ლელო გავიტანეთ: ჯერ ირაკლი ქვათაძემ დაასრულა მოლი 5 ქულით, მერე ხაზზე გაიშალა ბურთი კარგად და ის ალამთან ოთარ ლაშხმა დაამიწა. ლუკა მატკავას ჯარიმის შემდეგ ორივე გარდასახვა გაუცუდდა და ტაიმი 10:0 დასრულდა.

მეორე ტაიმიც შავი ლომის აქტიურობით დაიწყო. მეტოქე ხშირად ჯარიმდებოდა, რასაც 49-ე წუთზე 5-მეტრიან წყვეტილთან გათამაშებული ჯარიმა, რამდენიმე მიძალება და თენგიზ პერანიძის ლელო მოყვა. მატკავა ამჯერად ზუსტი იყო. ლუზიტანუშს სწრაფად შეეძლო პასუხის გაცემა, მაგრამ პორტუგალიელებმა ჯერ დაფარებულ ბურთზე ვერ ითამაშეს, მერე საკუთარი 22-იდან სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და ლელოც გარდაუვალი ჩანდა, რომ არა აკა ტაბუცაძის ბოჭვა.

ბურთზე კონტროლი რომ დავიბრუნეთ, მასპინძელთა ნახევარზე დავბრუნდით და ტაიმის შუაში აგორებულ მოლს ბექა მამრიკიშვილის ლელო მოყვა. დასკვნით წუთებში „ლობუშმა" პრესტიჟის ლელოს გატანა სცადა, მაგრამ გაუვალ დაცვას წააწყდა და საკუთარი ქომაგის წინაშე უქულოდ დარჩა.

შავმა ლომმა ბონუს-ქულაც აიღო. შეგახსენებთ, ქართველებს ბონუს ქულით დამარცხებული ესპანური იბერიანსიც (39:19) ყავდათ და 10 ქულით ჯგუფის ლიდერია. პითი, რომელსაც 5 ქულა აქვს, მეორე ტურის შეხვედრას ვალიადოლიდში, იბერიანსთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# შედეგები

11 ნოემბერი
ფეხბურთი

## ინგლისი. პრემიერლიგა

ვულვზი-ტოტენჰემი ........ 2:1
არსენალი-ბარნლი ........ 3:1
კრ.პალასი-ევერტონი ........ 2:3
მანჩესტერი-ლუთონი ........ 1:0
ბორნმუთი-ნიუკასლი ........ 2:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 11 | 9 | 0 | 2 | 28-8 | 27 |
| 2.არსენალი | 12 | 8 | 3 | 1 | 26-10 | 27 |
| 3.ტოტენჰემი | 12 | 8 | 2 | 2 | 24-16 | 26 |
| 4.ლივერპული | 11 | 7 | 3 | 1 | 24-10 | 24 |
| 5.ასტონ ვილა | 11 | 7 | 1 | 3 | 26-16 | 22 |
| 6.მანჩესტერი | 12 | 7 | 0 | 5 | 13-16 | 21 |
| 7.ნიუკასლი | 12 | 6 | 2 | 4 | 27-13 | 20 |
| 8.ბრაიტონი | 11 | 5 | 3 | 3 | 24-20 | 18 |
| 9.კრ.პალასი | 12 | 4 | 3 | 4 | 13-15 | 18 |
| 10.ბრენტფორდი | 11 | 4 | 4 | 3 | 19-14 | 16 |
| 11.ჩელსი | 11 | 4 | 3 | 4 | 17-12 | 15 |
| 12.ვულვზი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-20 | 15 |
| 13.ვესტ ჰემი | 11 | 4 | 2 | 5 | 18-20 | 14 |
| 14.ევერტონი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-17 | 14 |
| 15.ნოტინგემი | 11 | 3 | 4 | 3 | 12-15 | 13 |
| 16.ფულემი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-17 | 12 |
| 17.ბორნმუთი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-27 | 9 |
| 18.ლუთონი | 12 | 1 | 3 | 8 | 10-22 | 6 |
| 19.ბარნლი | 12 | 1 | 1 | 10 | 9-30 | 4 |
| 20.შეფილდი | 11 | 1 | 1 | 9 | 9-30 | 4 |

## გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი ........ 1:1
ბაიერნი-ჰაიდენჰაიმი ........ 4:2
დარმშტადი-მაინცი ........ 0:0
შტუტგარტი-დორტმუნდი ........ 2:1
ბოხუმი-კიოლნი ........ 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 10 | 9 | 1 | 0 | 30-10 | 28 |
| 2.ბაიერნი | 11 | 9 | 2 | 0 | 42-9 | 29 |
| 3.შტუტგარტი | 11 | 8 | 0 | 3 | 29-14 | 24 |
| 4.დორტმუნდი | 11 | 6 | 3 | 2 | 31-17 | 21 |
| 5.ლაიფციგი | 10 | 6 | 2 | 2 | 25-9 | 20 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 11 | 6 | 1 | 4 | 23-20 | 19 |
| 7.აინტრახტი | 10 | 4 | 5 | 1 | 15-9 | 17 |
| 8.ფრაიბურგი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-18 | 14 |
| 9.ვოლფსბურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 15-20 | 13 |
| 10.გლადბახი | 11 | 3 | 4 | 4 | 23-23 | 13 |
| 11.აუგსბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 20-23 | 13 |
| 12.ჰაიდენჰაიმი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-23 | 11 |
| 13.ვერდერი | 10 | 3 | 1 | 6 | 16-20 | 10 |
| 14.ბოხუმი | 11 | 1 | 6 | 4 | 11-25 | 9 |
| 15.დარმშტადი | 11 | 2 | 2 | 7 | 14-32 | 8 |
| 16.მაინცი | 11 | 1 | 4 | 6 | 11-24 | 7 |
| 17.უნიონი | 10 | 2 | 0 | 8 | 11-22 | 6 |
| 18.კიოლნი | 11 | 1 | 3 | 7 | 9-23 | 6 |

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რაიო-ხირონა ........ 1:2
ალმერია-სოსიედადი ........ 1:3
გრანადა-ხეტაფე ........ 1:1
ოსასუნა-ლას პალმასი ........ 1:1
რეალი-ვალენსია ........ 5:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 13 | 11 | 1 | 1 | 31-16 | 34 |

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩემპიონო ბრძოლა გრძელდება

### სამგურალი-დინამო (ბთ) 3:2

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**0:1 ლუდუშაური (1), 1:1 ვერულიძე (25), 1:2 ლუდუშაური (32), 2:2 მაისაშვილი (47), 3:2 კალანდარიშვილი (90)**

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მარკოვინა (მაისაშვილი 46), ბული, ლომინაძე, დარცმელია (კაგაიამა 90), ლ. ხორხელი, სულაქველიძე (ჩიხლაძე 81), ა.ვერულიძე (გომესი 90), იკპე (კალანდარიშვილი 78)

**დინამო:** კვასხვაძე, მამუჩაშვილი, ბალიჩი, კობახიძე, ხარაბაძე, მოსიაშვილი, ლუდუშაური (ფლამარიონი 67), ბიძინაშვილი, ც.ფაცაცია (ტეიდი 67), წიტაიშვილი (იაკობსენი 73), თ.კაპანაძე (ვანაძე 73)

წყალტუბოს სამგურალი ორჯერ აგებდა ლიდერ დინამო ბათუმთან, მაგრამ მაინც მოიგო – 3:2. სამგურალი მეექვსეზე რჩება, ბათუმელები კი ამჟამად 6 ქულით უსწრებენ მეორეადგილოსან თბილისის დინამოს.

ბათუმელები პირველივე წუთზე, კონკრეტულად კი, 26-ე წამზე პაატა ლუდუშაურმა დააწინაურა. მანვე 32-ე წუთზე დუბლი შეასრულა, მანამდე კი ალექსანდრე ვერულიძემ.

გათანაბრება მოუწია დავით მაისაშვილსაც, რომელიც მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეხუთე წუთზე კი, სამგურალმა კონტრშეტევაზე გატანილით მოიგო. შეცვლაზე შესულებმა ითამაშეს კარგად: შარბელ გომესის გარღვევასა და პასს ნიკა კალანდარიშვილის ჩახვეული დარტყმა მოჰყვა და 3:2.

### დინამო (თბ)-შუქურა 4:2

**თბილისი. დინამო არენა**

**1:0 სხირტლაძე (4), 1:1 გოგოლაშვილი (10), 2:1 კამარა (27), 3:1 ხვადაგიანი (45), 3:2 აფხაზავა (52), 4:2 მარუშიჩი (90)**

**დინამო:** კერესელიძე, მაისურაძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, კობოური, მექვაბიშვილი, ოსეი, ხარაიშვილი, ოდიშარია (ბუშნია 69), კამარა, სხირტლაძე (მარუშიჩი 69)

**შუქურა:** კულუა (აბრამიშვილი 46), ნადირაძე, კამლაძე, ჩაკვეტაძე, კუმბა, ლ.რობაქიძე (აფხაზავა 49), კვარაცხელია (ჩანქსელიანი 74), ჯანელიძე, გოგოლაშვილი (ბ.ვერულიძე 58), ჯინჭარაძე (ლორთქიფანიძე 74), მუჯირი

თბილისის დინამომ აუტსაიდერ ქობულეთის შუქურას სძლია. სწრაფი გოლი ვნახეთ, კერძოდ, დინამოელთა კაპიტანმა დავით სხირტლაძემ მრავალსვლიანი კომბინაცია დაასრულა.

მე-10 წუთზე გიორგი გოგოლაშვილმა თავურით გაათანაბრა. თუმცა, თბილისელებმა პირველ ტაიმში გატანა კიდევ ორჯერ მოახერხეს: ჯერ სხირტლაძის პასის მერე უსმანე კამარამ ცარიელ კარში შეაგორა ბურთი; ტაიმის ბოლო წუთზე კი, საბა ხვადაგიანმა მეკარის მოგერიებულ ბურთს ახლოდან დაამატა.

მეორე ტაიმში შუქურამ სხვაობა შეამცირა: ლუკა ნადირაძის კარგი პასით გია აფხაზავა მეკარესთან პირისპირ გავიდა და 3:2; ბოლოს კი, სერბმა ზორან მარუშიჩმა მეკარე გოგი კულუას თავზე გადაუგდო ბურთი და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა – 4:2.

ამ მოგებით დინამომ მეორე ადგილი გაინაღდა...



### თელავი-ტორპედო 1:2

**თელავი. კავკასიონი არენა**

**0:1 ჭიჭინაძე (8), 1:1 დეზირე (45), 1:2 სანდოხაძე (85)**

**თელავი:** იურჩენკო, ვ.ფაცაცია, ცნობილაძე (გოშთელიანი 90), გუტი, მორჩილაძე, ქანთარია (მ.ბაშელეიშვილი 76), ბეგიჩი, გაბიტაშვილი, აშორტია (ო.გაგნიძე 46), პარკინაშვილი (ჯეფინიო 80), დეზირე

**ტორპედო:** კლიაიჩი, მჭედლიშვილი, მონტეირო, სანდოხაძე (ტყეშელაშვილი 90), გოგლიჩიძე (ქობულაძე 46), მანჯგალაძე, ჭიჭინაძე, ბულრიძე, ნეტო (ეკონგოლო 72), შერგელაშვილი, ნინკოვიჩი (ფანცულაია 46)

ტორპედომ მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და ევროსაგზურისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა,

სამივე გოლი თავურით გავიდა: ტორპედოდან ანრი ჭიჭინაძემ და ნიკა სანდოხაძემ გაიტანეს, ხოლო თელავიდან ჰაიტელმა ჟონელ დეზირემ სეზონში მეოთხე ბურთი მიითვალა.

საინტერესოა, რომ ტორპედოს ბოლო 6 მატჩიდან 5 მოგებული აქვს და ერთხელაც ფრედ ითამაშა. ქუთაისელები მესამე ადგილზე არიან, თელაველები – მეშვიდეზე.

### სამტრედია-დილა 1:2

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**0:1 გომისი (15), 1:1 მიშოვი (42), 1:2 კოვტალიუკი (73)**

**სამტრედია:** ხარატიშვილი, ი.ახვლედიანი, აბულაძე, კილასონია, უბილავა, ხმალაძე, პავიშიჩი (ჩარგეიშვილი 84), თ.ახვლედიანი (დ.კირკიტაძე 58), ხაიბულაევი (ფირანაშვილი 75), ნაჭყებია, მიშოვი

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი (ასამოა 87), ეტოუ, ზ.თევზაძე, სილვა, სარდალიშვილი (ფარულავა 64), სანტოსი, გომისი, ჟან ვიქტორი (ანდრონიკაშვილი 64), გაფრინდაშვილი (მზვაკალი 85), კოვტალიუკი

გორის დილამ ზედიზედ მესამედ მოიგო და მეოთხე ადგილზე არიან, იმერლები კი – მერვეზე...

სამივე გოლი თავურით გავიდა და სამივე უცხოელებმა გაიტანეს: მე-8 წუთზე დილა სენეგალელმა ონორე გომისმა დააწინაურა; მერე სამტრედიელი ზვიად ნაჭყებიას გარღვევასა და კარგ პასს ჩრდილო მაკედონიელი ალექსანდარ მიშოვის გოლი მოჰყვა; მეორე ნახევარში კი, უკრაინელმა მიკოლა კოვტალიუკმა ითამაშა კარგად და ოთარ ფარულავას ჩაწოდებულს მიაყოლა თავური – 1:2.

სამტრედიას აგვისტოსა და სექტემბერში ჰქონდა კარგი სერია, მაგრამ ბოლო ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აიღო და საქმე გაირთულა.

### გაგრა-საბურთალო 2:1

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

**0:1 სილა (10), 1:1 ზოიძე (88), 1:2 კლოდინი (90)**

30-ე წუთზე სილამ ვერ გამოიყენა პენალტი: (მეკარე)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი (შუბითიძე 79), კაკუბავა, ჯანგიძე, კლოდინი, ჟორდანია (კაკაშვილი 56), პაპავა, ლომთაძე (ზოიძე 56), შონია (ხომუტოვი 79), ივანიაძე (ბურჯანაძე 90), შონგა

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ჩადუნელი, ჯინჯოლავა, კომახიძე, ქარდავა (სილაგაძე 60), შ.ნონიკაშვილი (მამასახლისი 72), გ.კოხრეიძე (ლ.ნონიკაშვილი 56), გ.მამაგეიშვილი, ო.მამაგეიშვილი, სილა (სიხარულიძე 72)

გაგრა 88-ე წუთამდე აგებდა, მაგრამ 2:1 იმარჯვა. საბურთალომ სწრაფი გოლი გაიტანა, კერძოდ, შეიკნე სილამ გამოიყენა გიორგი კოხრეიძის დაფარული პასი, მეკარე მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

პირველივე ტაიმში სილამ დუბლის შანსი გაუშვა ხელიდან: პენალტი მოიპოვა, თავადვე დაარტყა და ოლექსანდრ ვორობეიმ მოიგერია. ვორობეიმ ზედიზედ მეორე პენალტი აილო.

ბოლოს კი თამაშის ბედი სხვაგვარად გადაწყდა: 88-ე წუთზე გაგრას 19 წლის შემტევმა საბა ზოიძემ შორიდან დარტყმით გაათანაბრა; მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კი, ბრაზილიელმა კლაუდინეიმ ასევე შორიდან ზუსტი დარტყმით გაუტანა ლაზარე კუპატაძეს და 2:1.

გაგრა მერვე ადგილზეა და მეშვიდეზე მყოფ თელავს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. საბურთალო კი მეხუთე პოზიციაზეა. გიორგი მიქაძის გაწვრთნილ გუნდს ჩემპიონატში სამი ტურია არ მოუგია, მაგრამ დავით ყიფიანის თასის ფინალშია გასული.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 33 | 20 | 10 | 3 | 76-33 | 70 |
| 2.დინამო (თბ) | 33 | 19 | 7 | 7 | 82-45 | 64 |
| 3.ტორპედო | 33 | 15 | 10 | 8 | 42-33 | 55 |
| 4.დილა | 33 | 15 | 9 | 9 | 52-37 | 54 |
| 5.საბურთალო | 33 | 14 | 8 | 11 | 56-41 | 50 |
| 6.სამგურალი | 33 | 14 | 8 | 11 | 47-47 | 50 |
| 7.თელავი | 33 | 9 | 7 | 17 | 30-56 | 34 |
| 8.გაგრა | 33 | 8 | 8 | 17 | 34-61 | 32 |
| 9.სამტრედია | 33 | 8 | 6 | 19 | 36-55 | 30 |
| 10.შუქურა | 33 | 4 | 5 | 24 | 38-85 | 11 |

**შენიშვნა:** შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

# 18 წლამდე ნაკრებმა ტიტულის დაცვა შვეიცარიის განადგურებით დაიწყო



რაგბი ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა დებიუტანტი შვეიცარია დიდი სხვაობით – 86:10 დაამარცხა და თასის ნახევარფინალში ნიდერლანდებს შეხვდებიან.

ევროპის ჩემპიონატის ზედიზედ ოთხგზის გამარჯვებული საქართველო, ტურნირის დებიუტანტ შვეიცარიასთან, რა თქმა უნდა, ფავორიტი იყო, მაგრამ გუნდს მატჩის დებიუტში შეუთამაშებლობა ეტყობოდა. შეცდომები მერეც მრავლად იყო, რაც გარკვეულწილად ცუდმა სათამაშო პირობებმაც განაპირობა (წვიმა და სიცივე), მაგრამ ამას პრობლემები არ შეუქმნია.

საქართველომ შვეიცარიას სულ 13 ლელო გაუტანა, საიდანაც 3-3 ლუკა სალინაძისა და მიხეილ შიოშვილის ანგარიშზეა, თითო-თითო კი გიორგი ჯაშმა, მიხეილ ხახუბიამ, გიორგი მესხიძემ, გიორგი ხაინდრავამ, სანდრო სესიაშვილმა, გიორგი სპანდერაშვილმა და შოთა ხელაძემ მიითვალეს.

თამაშის დასალაგებლად უმცროს ბორჯღალოსნებს გარკვეული დრო დასჭირდათ, რითაც მეტოქემ ისარგებლა, მოედნის ცენტრში გადაცემა ჩაჭრა და გარდასახული ლელოთი დაწინაურდა. ამან ზურაბ ამონაშვილის შეგირდებზე დადებითი ეფექტი იქონია, ორიოდე წუთში გიორგი ხაინდრავამ ხაზი გაჭრა, გიორგი ჯაშმა თამაში გაამწვავა და რაქიდან ლელო ლუკა სალინაძემ გაიტანა. გარდასახვა მიზანს ასცდა.

მე-12 წუთზე ქართველების მოლი სალინაძის მეორე ლელოთი დასრულდა და ამჯერად ბუბა ნოზაძის გარდასახვაც ზუსტი იყო. 22-ე წუთზე სალინაძის ძალისმიერ გარღვევას უკვე ჯაშის ლელო მოყვა, მერე მიხეილ ხახუბიამ დაიფრინა მეტოქის 22-ში მცველები და მე-4 ლელო გაიტანა, ბოლოს კი ნოზაძემ გაჭრა კარგად ხაზი, მას სალინაძე მიყვა და თავისი მესამე ლელო პირველსავე ტაიმში გაიტანა – 33:7.

მეორე ტაიმის დასაწყისში, პირველის მსგავსად, პირველი ქულები შვეიცარიელებმა აიღეს. მათ დებიუტშივე ჯარიმა გაიტანეს, რაზეც თამაშის განახლებისთანავე მიხეილ შიოშვილმა უპასუხა. მან ბურთი ლელოდან დაახლოებით 35 მეტრში მოიხელთა, დაიძრა, გზა ბრძოლით გაიკვლია და საოცარი ინდივიდუალური ლელო გაიტანა.

ამის შემდეგ მეტოქე საბოლოოდ გატყდა. გიორგი მესხიძემ ლელო მოლის შემდეგ გაიტანა, რომელშიც შვეიცარია არ შემოვიდა. მერე გიორგი ხაინდრავამ სუფთად გაჭრა ხაზი. მორიგ ხელდახელ შეტევას სანდრო სესიაშვილის 5 ქულა მოყვა. შიოშვილმა მცველები 5-მეტრიანში ერთხელაც ააწიოკა და დუბლი მიითვალა, მალე კი მესამე ლელო გაიტანა.

დასკვნით წუთებში გიორგი სპანდერაშვილმა შერკინების შემდეგ სუფთად გაჭრა ხაზი და 5 ქულა მიითვალა, ბოლოს კი ფრთაზე შოთა ხელაძე გაიჭრა და ლელო ძელებშუა გაიტანა – 86:10.

14 ნოემბერს თასის ნახევარფინალში საქართველოს მეტოქე ნიდერლანდები იქნება, რომელმაც მეოთხედფინალში ბელგია 34:6 დაამარცხა. კიდევ ერთ შეხვედრაში პორტუგალიამ რუმინეთს 22:15 სძლია და ესპანეთს ეთამაშება, რომელმაც თავის მხრივ ჩეხეთი დაამარცხა.

## შედეგები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2.რეალი | 13 | 10 | 2 | 1 | 28-9 | 32 |
| 3.ბარსელონა | 12 | 8 | 3 | 1 | 24-12 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 11 | 8 | 1 | 2 | 26-11 | 25 |
| 5.ბილბაო | 13 | 7 | 3 | 3 | 25-17 | 24 |
| 6.სოსიედადი | 13 | 6 | 4 | 3 | 23-16 | 22 |
| 7.ბეტისი | 12 | 5 | 5 | 2 | 16-15 | 20 |
| 8.ლას პალმასი | 13 | 5 | 3 | 5 | 11-12 | 18 |
| 9.ვალენსია | 13 | 5 | 3 | 5 | 16-18 | 18 |
| 10.რაიო | 13 | 4 | 6 | 3 | 15-18 | 18 |
| 11.ხეტაფე | 13 | 3 | 7 | 3 | 15-17 | 16 |
| 12.ოსასუნა | 13 | 4 | 2 | 7 | 15-21 | 14 |
| 13.ვილიარეალი | 12 | 3 | 3 | 6 | 17-21 | 12 |
| 14.ალავესი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-16 | 12 |
| 15.სევილია | 11 | 2 | 5 | 4 | 17-16 | 11 |
| 16.კადისი | 12 | 2 | 4 | 6 | 10-17 | 10 |
| 17.მალიორკა | 12 | 1 | 6 | 5 | 12-18 | 9 |
| 18.სელტა | 13 | 1 | 4 | 8 | 14-24 | 7 |
| 19.გრანადა | 13 | 1 | 4 | 8 | 18-30 | 7 |
| 20.ალმერია | 13 | 0 | 4 | 9 | 15-33 | 4 |

**იტალია. სერია ა**

ლეჩე-მილანი ............ 2:2
იუვენტუსი-კალიარი ............ 2:1
მონცა-ტორინო ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 12 | 9 | 2 | 1 | 19-7 | 29 |
| 2.ინტერი | 11 | 9 | 1 | 1 | 27-6 | 28 |
| 3.მილანი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-14 | 23 |
| 4.ნაპოლი | 11 | 6 | 3 | 2 | 24-12 | 21 |
| 5.ატალანტა | 11 | 6 | 1 | 4 | 19-10 | 19 |
| 6.ფიორენტინა | 11 | 5 | 2 | 4 | 18-13 | 17 |
| 7.ლაციო | 11 | 5 | 1 | 5 | 13-13 | 16 |
| 8.ბოლონია | 11 | 4 | 6 | 1 | 12-8 | 18 |
| 9.რომა | 11 | 5 | 2 | 4 | 22-14 | 17 |
| 10.მონცა | 12 | 4 | 5 | 3 | 13-11 | 17 |
| 11.ტორინო | 12 | 4 | 4 | 4 | 10-14 | 16 |
| 12.ფროზინონე | 11 | 4 | 3 | 4 | 17-18 | 15 |
| 13.ჯენოა | 12 | 4 | 2 | 6 | 13-16 | 14 |
| 14.ლეჩე | 12 | 3 | 5 | 4 | 13-16 | 14 |
| 15.სასუოლო | 12 | 3 | 3 | 6 | 16-21 | 12 |
| 16.უდინეზე | 10 | 1 | 6 | 3 | 6-13 | 9 |
| 17.კალიარი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-24 | 9 |
| 18.ვერონა | 12 | 2 | 2 | 8 | 7-16 | 8 |
| 19.ემპოლი | 11 | 2 | 1 | 8 | 4-21 | 7 |
| 20.სალერნიტანა | 12 | 0 | 5 | 7 | 8-24 | 5 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

რეიმსი-პსჟ ............ 0:3
ლე ავრი-მონაკო ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 8 | 3 | 1 | 29-9 | 27 |
| 2.ნიცა | 12 | 7 | 5 | 0 | 13-4 | 26 |
| 3.მონაკო | 12 | 7 | 3 | 2 | 25-14 | 24 |
| 4.რეიმსი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-15 | 20 |
| 5.ლილი | 11 | 5 | 4 | 2 | 14-10 | 19 |
| 6.მონპელიე | 12 | 4 | 4 | 4 | 19-16 | 16 |
| 7.ბრესტი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-13 | 15 |
| 8.ლე ავრი | 12 | 3 | 6 | 3 | 11-13 | 15 |
| 9.ნანტი | 11 | 4 | 2 | 5 | 16-20 | 14 |
| 10.მარსელი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-12 | 13 |
| 11.ლანსი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-13 | 13 |
| 12.რენი | 11 | 2 | 6 | 3 | 16-15 | 12 |
| 13.სტრასბური | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 14.ტულუზა | 11 | 2 | 5 | 4 | 12-15 | 11 |
| 15.ლორიანი | 11 | 2 | 5 | 4 | 15-20 | 11 |
| 16.მეცი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-17 | 10 |
| 17.კლერმონი | 11 | 1 | 3 | 6 | 9-17 | 6 |
| 18.ლიონი | 10 | 0 | 4 | 6 | 8-19 | 4 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ყურძნის კრეფა; 2. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 3. უფესვო სპოროვანი მცენარე; 5. მექსიკური არაყი; 6. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 7. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. რაიონული ცენტრი სვანეთში; 13. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 14. გარეგნული მომხიბვლელობა – ეშხი; 15. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 16. რაიონული ცენტრი იმერეთში; 17. ტბა სამხრეთ საქართველოში; 19. მანძილის საზომი ერთეული ბრიტანეთში; 20. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში.

**თარაზულად:** 1. ფლანდრიელი მხატვარი; 4. ფულის ერთეული პოლონეთში; 8. ქვანახშირის გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 9. პატარა რესტორანი; 10. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 12. პატარა სამკუთხა ალამი; 14. დიდი საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 15. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 16. მსხვილი სავაჭრო-ფინანსური გარიგებების დაწესებულება; 18. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 21. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 23. დიპლომატიური პროტესტის ერთ-ერთი ფორმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნოთაობა; 2. სამშვილდე; 3. სილიკოზი; 4. გულცორა; 5. ყავარი; 9. სვინგი; 11. ჩერჩილი; 12. პიკასო; 14. კნეთელი; 18. აზოტი; 19. იალტა.

**თარაზულად:** 4. გურონი; 5. ყარაყუმი; 6. გინზა; 7. კლოშარი; 8. იშიასი; 10. სირჩა; 13. ბუკერი; 15. ივრითი; 16. ზიჩი; 17. კანა; 20. თავაძე; 21. ჯოკერი; 22. პატრული; 23. ტორერო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სვინგი; 2. სიმდი; 3. რუხი; 5. მულამი; 6. სიონი; 7. კოპელია; 11. ლადარი; 13. ბაიდენი; 14. აზოტი; 15. გუდრენი; 16. დოპინგი; 17. ჯულეპი; 19. ირისი; 20. დოჟი.

**თარაზულად:** 1. სასწორი; 4. ტოლმა; 8. ხეობა; 9. კოლო; 10. ნადული; 12. ლეჩხუმი; 14. ალაო; 15. გაბარიტი; 16. დიორი; 18. ბორტი; 21. ლობიო; 22. გორუეტი; 23. სუპორტი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ნოემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6989 | ევრო — 2.8819 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2964 | 100 რუსული რუბლი — 2.9315 |

## ამინდის პროგნოზი 13 ნოემბრისათვის




## ანჩელოტი: „რეალმა იდეალური შეხვედრა ჩაატარა“



მადრიდის რეალმა საკუთარ მოედანზე ვალენსია მიიღო და დაამარცხა 5:1. აღსანიშნავია, რომ ვალენსიას მეკარეს გიორგი მამარდაშვილს კარგი შეხვედრა არ ჰქონია, რამდენიმე გაშვებულ გოლში მისი ბრალეულობაც არის. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ მისმა გუნდმა თითქმის იდეალური შეხვედრა ჩაატარა:

– მიხარია, რომ ასეთი თამაში ვნახე და ჩემს ფეხბურთელებს მოედანზე ყველაფერი გამოსდიოდათ. იდეალური შეხვედრა ჩავატარეთ და ასე უნდა გავაგრძელოთ.

## ზიდანი, შესაძლოა, მალე სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდეს



ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი შესაძლოა სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდეს და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას რამდენიმე არაბული გუნდი ეპატიჟება, მაგრამ ზიდანს ევროპაში სურს დარჩენა.

შესაძლოა, ზიდანი სამშობლოში დასაქმდეს და მარსელის ოლიმპიკში დაიწყოს მუშაობა, თუმცა არა მწვრთნელის, არამედ სპორტული დირექტორის პოზიციაზე.

## ლუის ენრიკე: „პსჟ-ს შეუძლია მოუმატოს“



პსჟ-მ სტუმრად რეიმსი დაამარცხა ანგარიშით 3:0, მაგრამ შეხვედრის შემდეგ პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე ბოლომდე კმაყოფილი არ იყო, რადგან მისი აზრით, ჯერ პარიზელები თავიანთ საუკეთესო თამაშს არ აჩვენებენ:

– მიხარია, რომ მოვიგეთ, მაგრამ კარგად მესმის, რომ ეს ჩვენი საუკეთესო თამაში არ იყო და მეტოქესაც ჰქონდა შანსები. ბევრი ასპექტია, რომლებშიც უნდა მოვუმატოთ, თუ გვინდა, რომ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## „შვიდკაცას“ საიუბილეო კონცერტის ყველა ბილეთი გაყიდულია



ანსამბლი „შვიდკაცა“ დაარსებიდან 25 წლის იუბილეს ზეიმობს. 25 ნოემბერს ანსამბლი დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამოს გამართავს. მასზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია.

„25 წელი სცენაზე“ – ასე ჰქვია მუსიკალურ პროექტს, რომელშიც „შვიდკაცას“ ანსამბლის წევრებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ: ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ეკა მამალაძე, მაია ჯაბუა, ნუკრი კაპანაძე, დათო გომართელი, ლევან დეისაძე, ზაზა ცერცვაძე...

საღამოს სპეციალური სტუმარი ამერიკელი არტისტი რაულ მიდონი იქნება.

შესრულდება ლეგენდარული ქართველი კომპოზიტორების რევაზ ლაღიძის, გია ყანჩელის, ბიძინა კვერნაძის, ჯანსულ კახიძის, გოგი ცაბაძის ნაწარმოებები. აგრეთვე, თანამედროვე ავტორების კომპოზიციები.

მუსიკალური ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველია, კრეატიული პროდიუსერი – თეო ჯორბენაძე, დამდგმელი მხატვარი – ვანო ჭელიძე, პროექტის მენეჯერი – გიორგი ლომთათიძე.

## ბიბი კვაჭაძის სიმღერა „გრემის“ ნომინანტთა საბოლოო სიაში ვერ მოხვდა

მუსიკოს ბიბი კვაჭაძის სიმღერა ალეკო ბერძენიშვილის შესრულებით, რომელიც „გრემის“ აჯილდოებაზე იყო წარდგენილი, საბოლოო ნომინანტთა სიაში ვერ მოხვდა:

– პირველ რიგში, მე და ალეკო უდიდეს მადლობას გიხდით სიყვარულისთვის, მხარდაჭერისა და კეთილი სურვილებისთვის. შევიტყვეთ, რომ ჩვენი სიმღერა გრემის ნომინანტთა საბოლოო სიაში ვერ მოხვდა. თუმცა ის, რასაც მივაღწიეთ და რაც უკვე მოხდა, აბსოლუტურად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენთვის და საკუთარი თავისთვის დიდი მოტივაცია და სტიმული მოგვეცა.



ჩვენი უმთავრესი მიზანი „შტანგის აწევა“ არ იყო, არც მე და არც ალეკო არ ვართ „მუსიკაში შტანგის აწევის“ მოყვარულნი. ეს ფრაზა პეკეს ვესესხე – „შტანგის აწევა“-ში კონკურსები და შეჯიბრება იგულისხმება.

ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ჩვენი გულიდან ამოსული სიმღერა მსოფლიოს გაეცნო და ეს ასეც მოხდა. ასე რომ, ვაშა!

გილოცავთ თქვენ, ვულოცავ ალეკოს და ჩემს თავს, მადლობას ვუხდით ყველას დიდი შრომისა და პროფესიონალიზმისთვის.

გახსოვდეთ, რომ აბსოლუტურად ყველაფერი შესაძლებელია – წარმატების კართან დგომაც და თუ კარი დროებით დაკეტილია, ფანჯრის ძიებაც. მთავარია ძიება, თავჩაუხრელი შრომა, სტუდიაში დალამება და გათენება, თავგანწირვა, კომფორტის ზონის დავიწყება და რაც შეიძლება მეტი პოზიტივი მეგობრებო.

გვიყვარხართ და ბედნიერები ვართ. მადლიერებით და სიყვარულით – ბერძენა და კვაჭი, ანუ ალეკო და ბიბი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## დემნა პირველ სათხილამურო კოლექციას გამოუშვებს



ქართველი დიზაინერი დემნა ბალენსიაგას მიმდევრებს სულ მალე სათხილამურო კოლექციას შესთავაზებს.

ბალენსიაგას პირველი სათხილამურო კოლექცია გაყიდვაში ნოემბერში გამოვა. დემნამ ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად, სათხილამურო კოლექციის შექმნა გადაწყვიტა და მომხმარებელს სრულ კომპლექტს შესთავაზებს – ფეხსაცმელი, ქურთუკი, სათვალე, ქუდი, ხელთათმანი, შარვალი...

დემნას მიერ ბალენსიაგასთვის შექმნილი პირველი სათხილამურო კოლექციის ფასი ჯერჯერობით უცნობია.

## გიორგი კეკელიძის წიგნს ლევან კოღუაშვილი ფილმად აქცევს



რეჟისორი ლევან კოღუაშვილი მწერლისა და პოეტის გიორგი კეკელიძის წიგნს „გურული დღიურები“ ფილმად აქცევს.

„გურია“ – ასე ჰქვია ფილმს, რომლის გადაღებებიც უკვე დაიწყო.

**გიორგი კეკელიძე:**

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საეტაპო ამბავი: ზუსტად 10 წლის წინ დაიწერა და გამოიცა „გურული დღიურები“. ზუსტად 10 წლის შემდეგ, 2024 წელს გამოვა ფილმი „გურია“, რომლის გადაღების იდეა სწორედ დღიურების მოტივებს დაეყრდნო. მე ამ ფილმის სცენარის ავტორთაგანი და პროდიუსერი ვარ. რეჟისორი ლევან კოღუაშვილია. სურათი არაერთი ქვეყნის კოპროდუქციაა – შვეიცარია, ჰოლანდია, თურქეთი, ბულგარეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია გახლავთ ჩართული, ცხადია, საქართველოსთან ერთად. დიდი სურვილი გვაქვს, 5-წლიანი მუშაობის შემდეგ, შესაბამისი ფილმიც შემოგთავაზოთ.

## მიშო სულუხია: „მარბეიას საერთაშორისო ფესტივალმა ქართველი რეჟისორების ნამუშევრებს გაუღო კარი“



მომღერალი მიშო სულუხია ესპანეთში იმყოფება, სადაც მარბეიას საერთაშორისო ფესტივალზე ქართული კინოს წარმატებები გაიზიარა:

– მნიშვნელოვნად მიმაჩნია გითხრათ, რომ წელს ესპანეთში, ქალაქ მარბეიას საერთაშორისო ფესტივალმა ქართულ სექტორსა და ქართველი რეჟისორების ნამუშევრებს გაუღო კარი. ვფიქრობ, არ არის პატარა ამბავი, რომ სხვა ქვეყნის რეჟისორებთან ერთად პროგრამაში ლევან კოღუაშვილისა და ნიკა აგიაშვილის ფილმები იქნა ნაჩვენები. ცქმუტვა, კომენტარები და სხვადასხვა ეპიზოდებზე ფოკუსირება დარბაზში, ფილმის მსვლელობის დროსვე შეინიშნებოდა უცხოელი და სრულიად უცნობი მაყურებლისგან. მოგვიანებით, სეანსის დასრულების შემდეგ გვისვამდნენ კითხვებს ქართველი რეჟისორებისა და ფილმის შინაარსის შესახებ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ნატალი სწუარდ ფოქსს, ქალბატონს, რომელიც უკვე უამრავი წელია ცდილობს ქართული ხელოვნების სწორ და საჭირო ეპიცენტრებში პოპულარიზაციასა და გაცნობას, რაც ნამდვილად არის აღსანიშნავი. ასევე მადლობა იმისთვის, რომ ფესტივალის ფარგლებში მნიშვნელოვნად საპასუხისმგებლო მისიით დავკავდი ჩემს უფროს კოლეგებთან ერთად, რომელზეც მოგვიანებით აუცილებლად მოგიყვებით.

ახლა კი მთავარი ამბავი და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ადრეც ვთქვი და კიდევ აღვნიშნავ, რომ კინო ჩემი საოცნებო სფეროა, არ მიმაჩნია ამაზე რთულ ხელოვნებად არაფერი. ეს არის სფერო, რაც ყველაფერს აერთიანებს და იტევს, ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას ფილოსოფიას, პოლიტიკას. სიყვარული და მოკრძალება მაქვს კინოს მიმართ. ეს წანამძღვარი იმიტომ გავაკეთე, რომ ხაზი გავუსვა ჩემს დამოკიდებულებას ხელოვნების ამ დარგის მიმართ. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, წელს დიდი უცნაურობები მოხდა და გამიმართლა. მომეცა საშუალება, დამეგეგმა 2 ფესტივალის კინოსექტორი, რომელიც ფიზიკურად განხორციელდა ჯერ საქართველოში, შემდეგ ესპანეთში.

ახალგაზრდა და ნიჭიერი კინორეჟისორების ბედი ხშირად დასაწყისშივეა ხოლმე ნათელი. მოკლემეტრაჟიან ფილმს დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს რეჟისორის სამომავლო აქტივობაში. რადგან ეს ეტაპი ხშირად მოიცავს რეალობას, სადაც ხელოვანს ყოველგვარი ბიუჯეტისა თუ ფინანსური მხარდაჭერის გარეშე უწევს გამოსახოს თავისი ნააზრევი და

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 2. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 5. რაიონული ცენტრი შიდა ქართლში; 9. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 12. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 14. ახალი ზელანდიის აღმომჩენი ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 18. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. დამანგრეველი ძალის ქურვი.

**თარაზულად:** 4. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 5. ბრტყელი ლოკოკინა; 6. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 7. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 8. გარეული ცხოველის სადგომი; 10. რაიმე ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 13. კაზაკთა სოფლების სახელწოდება უკრაინაში; 15. კუთხე საქართველოში; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 20. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 21. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 22. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 23. თეატრალური ცეკვის ხელოვნება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა